პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 241 (19982) | სამშაბათი, 20 ოქტომბერი, 1987 წელი. | ფასი 3 კაპ.

გუშინ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ.



სურათზე: სესიის გახსნისას. (საკავშირო-საქინფორმის ტელეფოტო).

განსაცალკევებელ საქმეთა მასშტაბურობა

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ განვითარებული სამეურნეო მექანიზმის რადიკალური რეფორმა ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო. სახალხო მეურნეობის წინსვლა-განვითარების, მისი ყველა დარგის საიმედო მუშაობის გაძლიერების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხუთწლედის მესამე წელს. გარდაქმნის ბედისათვის ამ გადამწყვეტ პეროიდში ყველასა და თითოეულის ენერგია უნდა მოვახმაროთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების რეალურ ხორცშესხმას.

სწორედ ამ პოზიციებიდან განიხილავენ უახლოესი მომავლის პროგრამას დეპუტატები, რომლებიც სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე შეიკრიბნენ. სესია გაიხსნა 19 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში პალატების გაერთიანებული სხდომით.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, დ. ტ. იაზოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვს, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ნ. ტოლკუნოვი.**

ერთხმად მტკიცდება სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილია საკითხები:

1. ყირგიზეთის სს რესპუბლიკისგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის შესახებ.

2. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

3. სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

4. დეპუტატთა იმ წინადადებების განხილვის შედეგები, რომლებიც გამოითქვა მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე განხილვის დროს.

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დეპუტატები იწყებენ სესიის დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. სიტყვა ეძლევა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დეპუტატ **ა. მ. მასალიევს,** რომელმაც ყირგიზეთის სს რესპუბლიკისგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დავალებით შემოიტანა წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ყირგიზეთის სს რესპუბლიკისგან აირჩიონ დეპუტატი ტაშტანბეკ აკმატოვი, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი **ტ. აკმატოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1987 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. ვ. ტალიზინმა.**

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს დეპუტატ **გ. ი. მარჩუკს.** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ განიხილა 1988 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, თქვა მან და მიაჩნია, რომ იგი ასახავს გარდაქმნის ყველა უმთავრეს კომპონენტებს, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა შეიმუშავეს.

1988 წლის გეგმისა და ბიუჯეტების პროექტები განასახიერებენ პარტიის სტრატეგიულ კურსს, რომლის მიზანია საზოგადოების სოციალური გარდაქმნა. ისინი ითვალისწინებენ ეკონომიკის მკვეთრ შემობრუნებას ინტენსიური განვითარებისაკენ. გეგმის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა წინანდელზე მეტი ორიენტაცია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე.

ეროვნული შემოსავლის ზრდის ძირითადი წყაროა რესურსების დაზოგვა. პროდუქციის მატების თითქმის 80 პროცენტი რესურსების ეკონომიის გზით უნდა უზრუნველვყოთ. ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ორატორმა აუარადღება მიაპყრო იმას, რომ ერთ წელიწადში 20 პროცენტით და მეტად გაიზრდება ლაზერული, მემბრანული და რადიაციული ტექნოლოგიების, ფხვნილთა მეტალურგიის მეთოდებისა და კომპოზიციური მასალების გამოყენების ტემპი. გათვალისწინებულია დაჩქარებული ტემპით განვითარდეს გამოთვლითი ტექნიკის წარმოება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალ ენერგიათა ფიზიკის, ელექტრონიკის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ენერგეტიკის, ახალი ნივთიერებების, მაღალტემპერატურული ზეგამტარობის, ბიოტექნოლოგიის, ქიმიური ტექნოლოგიის დარგის გამოკვლევებსა და ზოგიერთ სხვა მიმართულებას.

1988 წლის იანვრიდან დარგობრივი მეცნიერება გადადის სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე. აკადემიისა და უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერება, რომელიც ახალი იდეების ხანგრძლივ ძიებასთან არის დაკავშირებული, ძირითადად ბიუჯეტიდან დაფინანსდება, მაგრამ აქაც განხორციელდება გადასვლა პრიორიტეტული კვლევის დაფინანსებაზე, მათ შორის — სახელმწიფო შეკვეთების სისტემის მეშვეობით.

ორატორმა წინადადება წამოაყენა დამტკიცდეს 1988 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები.

ტრიბუნაზეა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ს. ა. შალაევი.** ყველა დონის პროფკავშირული ორგანოები, აღნიშნა მან, მონაწილეობენ სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო გეგმის ა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების, მათში მოცემული სოციალური პროგრამის შემუშავებაში. საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოქმედი მენშენებისა და წინადადებების უმრავლესობა კონსტრუქციულად განიხილეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, რაც აისახა ამ დოკუმენტებში.

წარმოდგენილ პროექტებში რეალურად გამოსჭვივის პარტიის გეზი, რომლის მიზანია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის გაღრმავება. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განთლების, ჯანდაცვის, კულტურის დაფინანსების, სოციალური უზრუნველყოფისათვის წლევანდელთან შედარებით გაზრდილია და გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ოდესმე ყოფილა. გაიზრდება სასახლო მოხმარების საქონლის წარმოება.

ეს, ხაზგასმით აღნიშნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, გარდაქმნის რეალური, ხელშესახები ნაყოფია, იმ ძლიერი სოციალური პოლიტიკის ნაყოფია, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ შეიმუშავა. ადამიანებისათვის ასეთ ზრუნვას, უდავოდ, ჯეროვნად დააფასებს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, მთელი საბჭოთა ხალხი.

შემდეგ ორატორი შეეხო საკითხებს, რომლებიც დღეს, რეფორმის წინ, მრომითი კოლექტივების დიდ შეშფოთებას იწვევს. ბევრ გაერთიანებასა და საწარმოს დღემდე ვერ დაუდია 1988 წლის სამეურნეო ხელშეკრულებანი. განსაკუთრებული წუხილით ილაპარაკეს აგრეთვე მომავალი წლის დაკალთათა მატერიალური შეწონასწორების უზრუნველყოფის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ძირეული გაუმჯობესების პრობლემებზე.

გეგმაში ჩაქსოვილი ახლებური მიდგომა, აღნიშნა დეპუტატმა, განამტკიცებს თითოეული მუშაკის კეთილდღეობისა და შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარების უშუალო კავშირს სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებთან, რასაც პროფკავშირებისათვის პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა დეპუტატთა შეკითხვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე **ვ. ს. მურახოვსკი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები.

თათბირში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებისა და ცენტროსოიუზის, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების სახაგრომრეწვებისა და აგროსამრეწველო კომიტეტების თავმჯდომარეები, მრეწველობის მანქანათმშენებელი და გადამმუშავებელი დარგების საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, კომბინატებისა და ფირმების, სამომხმარებლო კოოპერაციის, სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა **მ. ს. გორბაჩოვმა.**

ამხანაგებო, თქვა მან, ეს წარმომადგენლობითი თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ეძღვნება ჩვენი ახლანდელი გარდაქმნის პრობლემებს. საქმე ეხება სასურსათო საკითხს. ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნულ პარტიის სტრატეგიაში იქნება გრძელვადიანი, შორეული ამოცანები, რომლებსაც მივაღწევთ გარკვეული ეტაპების გავლით, ბევრი იმ საკითხის გადაწყვეტის მეშვეობით, რომლებიც მოიცავენ ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ და პოლიტიკურ სფეროებს. იქნება საშუალოვადიანი და სასწრაფო ამოცანებიც.

მაგალითად, უნდა განვახორციელოთ ჩვენი ეკონომიკის მოდერნიზაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უკვე არსებულ მიღწევათა საფუძველზე, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროგრესულ ტექნოლოგიათა შექმნისათვის ჩვენი მანქანათმშენებლობის მიერ ახალი ტექნიკის მიწოდების საფუძველზე. გარკვეულ პერიოდს, აქ დაიკავებს მანქანათმშენებლობის ღრმა რეკონსტრუქცია, შემდეგ გარკვეული პერიოდი დაგვჭირდება, რათა ჩვენი ეკონომიკა გადავიყვანოთ ახალ ტექნიკურ რელსებზე. ყოველივე ეს უკვე ახლა უნდა გადავწყვიტოთ, მაგრამ მთლიანად ეს ერთერთი საშუალოვადიანი ამოცანაა. მარაგნაკეთი იქმნება ამ და სხვა მიზნებისთვისაც საშუალოვადიანი ამოცანებისა და ახალ მიჯნებზე ჩვენი საზოგადოების გასვლასთან, ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე მის გადასვლასთან დაკავშირებული უფრო შორეული ამოცანებისათვის.

მაგრამ, ამხანაგებო, თუ ჩვენ იმავდროულად არ გადავწყვეტთ გადაუდებელ ამოცანებს, რომლებიც ეხება ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას, ადამიანები ვერ გაგვიგებენ. იმედებით ცხოვრება არ შეიძლება. ბევრი პრობლემა დღესვე უნდა გადავწყვიტოთ, ამის საშუალება გვაქვს.

ასე რომ, გადაუდებელ პრობლემათა შორის — ჩვენ კი ისინი საგანგებოდ გამოვყავით პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე — არის ბინა, სურსათი, სახალხო მოხმარების საქონელი. ვსაუბრებლობ ასეთი წარმომადგენლობითი თათბირით და უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ ყველა ამ საკითხს ახლა ვამუშავებთ უაღრესად კონკრეტულად: რა უნდა გაკეთდეს ცენტრის დონეზე, რა არის გათვალისწინებული გეგმებში, რა უნდა გაკეთდეს რესპუბლიკის, რეგიონის, თითოეული საწარმოს, შრომითი კოლექტივის დონეზე. და აქ უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა საქმე წინ წაიწიოს ამ მიმართულებებით.

ვერ დავუშვებთ, რომ პარტიის გეგმები არ სრულდებოდეს, რომ, ვთქვათ, ამოცანა — 2000 წლისათვის სახბინაო პრობლემის გადაჭრა — ჩაიშალოს. ამტომ განსაკუთრებით მკაცრ კონტროლს გავუწევთ ამ საკითხების გადაწყვეტას ყოველ დონეზე — მთავრობის, რეგიონალურ, შრომითი კოლექტივის დონეზე, ეს ეხება თითოეულ ხელმძღვანელს.

შემდეგ. ჩვენ ხელი მოვკიდეთ სახალხო მოხმარების საქონელს. ჯერჯერობით ეს ყველაზე სუსტი ადგილია. მაგრამ მომატება ამაში გაცილებით უფრო სწრაფად შეგვიძლია. ორი წლის წინათ ლენინგრადელები მკაცრად გავაკრიტიკეთ მსუბუქ მრეწველობაში ნაკლოვანებებისათვის. აქედან დასკვნები გამოიტანეს. ლენინგრადში ამასწინანდელი ყოფნის დროს დავრწმუნდი, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ორ წელიწადში, თუ პრობლემის გადაჭრას ჯეროვნად მოვკიდებთ ხელს. კონკრეტული მაგალითებით ნათელი გახდა, რომ არის რეალური წინსვლა საქონლის ხარისხის მხრივაც და ნაწარმის ფასორნების მხრივაც. აქამდეკი ფაბრიკების მილიონობით მნეთის პროდუქცია საწყობებში ელაგა, საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა მძიმე იყო. დღეს საწყობები ცარიელია. არაფერი არ წყვდა, ყველაფერი, რაც მაღაზიებში მიდის, იყიდება, ესე იგი დაიწყო ცვლილებები. მაგრამ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ჯეჯერობით მეტად სუსტი ადგილია სახალხო მოხმარების საქონელი. ამიტომ ყველამ უნდა გააკეთიროს მუშაობა ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით.

დღეს ვიხილავთ სურსათთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხს. ჩვენ შევქმენით წანამძღვრები თვით აგრარულ სექტორშიც და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაშიც, რათა რაც შეიძლება სწრაფად წავიწიოთ წინ ამ პრობლემის გადაწყვეტაში, უახლოესი ორი-სამი წლის მანძილზე გვქონდეს საგრძნობი შედეგები. ამ ამოცანას პოლიტბიუროო და მთავრობა უქმნიან ახალ ბაზასაც, ამუშავებენ ახალ მიდგომებს, მიღებულია საჭიო გადაწყვეტილებანი.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ხელი მოჰკიდეს ინტენსიური ტექნოლოგიების ათვისებას. ეს იმის საშუალებაა, რომ გვქონდეს დიდი ნაყოფიერება, სტაბილური მოსავალი. მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ მეურნეობრიობის ახალ ფორმებთან, კოლექტიურ, ბრიგადულ, ოჯარასთან ურთიერთკავშირით. საჭიროა, რომ ადამიანი რეალურად ჩავაბათ საწარმოო პროცესში და თავად მართავდეს, უძღვებოდეს მეურნეობას. ეს არის მთავარი. თუ გულახდილად ვიტყვით, შეძენილი პოტენციალის გამოყენებაც და ახალი ტექნოლოგიების ათვისებაც ამაზე იქნება დამოკიდებული, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ყოველივე ეს ადამიანის მუშაობით უნდა გაკეთდეს.

მეურნეობრიობის ახალი მეთოდები ჯერჯერობით მძიმედ ინერგება, ბევრ ხელმძღვანელს უბრალოდ ეშინია ამისა, ჯიუტობს, რადგან ამ შემთხვევაში მათ ხელი უნდა მოაწერონ ხელშეკრულებას, იკისრონ ურთიერთვალდებულება და დროულად შეასრულონ იგი. ამიტომ ახალი საქმე ფერხდება. ამას წავაწყდი ბალტიის ქარხანაში.

სოფლის მეურნეობაშიც სპეციალისტებმა არა მარტო უნდა იარონ მინდვრებსა და ფერმებში, რჩევა-დარიგებანი და რეკომენდაციები მისცენ, არამედ ახლებურად წარმართონ საქმე, მხედველობაში იქონიონ, რომ მთავარი ამოცანა, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეშვეობით გადაწყდება.

მეორე მიმართულება ამ მუშაობაში. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მივიღეთ მთელი რიგი ზომები, მოვხსენით ყველა შეზღუდვა პირადი დამხმარე მეურნეობების გაძღოლა, სახელმკურნალობო საფუძველზე ჩავრთეთ ისინი იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშეა დასახული. ამით უზრუნველყოფილია ცოცხალი ურთიერთკავშირი პირად და სახალგადოებრივ მეურნეობას შორის. მაგრამ ბევრი მცდარ პოზიციას ადგას პირადი დამხმარე მეურნეობისადმი დამოკიდებულებაშ ი. ხალხი ამას უჭერს მხარს, პარტია და მთავრობა ყველა წანამძღვარს უქმნიან ამ მეურნეობის ეფექტიან გაღიღლას, ზოგიერთი ხელმძღვანელი კი მაინც თავისას გაიძახის: „ნებას არ მივცემთ!“. ყოველივე ეს ძალიან კარგად შენიშნა მწერალმა ივანე ვასილევმა თავის ამასწინანდელ სტატიაში: „განზე დგომა“.

და ბოლოს, ამხანაგებო, გადავწყვიტეთ მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტიური მეგაღეობისა და მებოსტნეობის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს საქმეც წინ უნდა წავიწიოთ. ეს აგვარებს ოჯახურ ცხოვრებას, ადამიანს. შესაძლებლობა ეძლევა თავისუფალ დროს მთელ ოჯახთან ერთად წავიდეს ბუნების წიაღში, იმუშაოს, მათი შვილები ეზიარებიან შრომას. გარდა ამისა, ბაღ-ბოსტნები სასურსათო რესურსების შევსების არსებითი წყაროა.

ახლა საწარმოთა დამხმარე სასოფლო მეურნეობების შესახებ. ბევრი საწარმო სერიოზულად ეკიდება მათ მუშაობას და აუმჯობესებს თავისი შრომითი კოლექტივების მომარაგებას. აქ არის ასეთი ასპექტიც — ჩრდილოეთში და ზოგიერთ სხვა ადგილას არის სუსტი, ზარალიანი მეურნეობები. შეიძლებოდა ისინი გაგვეერთიანებინა, სამრეწველო საწარმოებთან. ჩვენს აგრომრეწვს დავავალეთ შეესწავლა ეს პრობლემა. უნდა გამოვეგზნონ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომ საწარმოც იყოს ამით დაინტერესებული. ასეთი მაგალითები უკვე გვაქვს. მრეწველობისა და აგრარული საწარმოების ამ სიმბიოზს ის მოსდევს, რომ მეურნეობები სწრაფად გარდაიქმნებიან, გადიან წარმოების კარგ დონეზე, სისხლსავსედ ფუნქციონირებენ.

საერთოდ, ამხანაგებო, ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ, ყველაფერი, რაც სასურსათო რესურსების ზრდას უწყობს ხელს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სფერო ჩვენ თითქოსდა ძალიან გავაფართოოთ, ყველაზე სრულად ვანაღდებთ ყველა კატეგორიის მეურნეობათა შესაძლებლობებს. ამრიგად, შექმნილია ყველა პირობა ადგილებზე ინიციატივიანი მუშაობისათვის.

ახლა გამოჩნდება, თუ ვინ რისი მაქნისია. საკითხის ასე დაყენება მართლზომერია. ჩვენ შემოვიღეთ პრინციპი: მივაწოდოთ ნორმატივის მიხედვით პროდუქციის დადგენილი რაოდენობა საკავშირო-რესპუბლიკურ ფონდს, დანარჩენი გამოიყოს ადგილობრივი მოხმარებისათვის. აქ ჩანს ყველა ინტერესის — პირადის, კოლექტიურის, რეგიონალურისა და საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესების ლოგიკური შეხამება.

მაგრამ, საქმე წინ ვერ წავა და სათანადო ეფექტს ვერ მოგვცემს, თუ ახლა ნამდვილად არ მოვკიდეთ ხელი სოფლის პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების საკითხებს. კვების მრეწველობის ხელახალი აღჭურვის ამოცანა ახლა ყველაზე გადაუდებელი საქმე გახდა, უამისოდ ვერ უზრუნველვყოფთ სასურსათო პროგრამის წარმატებულ შესრულებას. ამიტომ საბოლოოდ უნდა შევცალოთ სიტუაცია ამ უბანზე, განვსაზღვროთ დარგის ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის პროგრამა, თორემ კვლავაც უდიდესი დანაკარგები გვექნება.

ამას საფუძვლიანად უნდა მივკიდოთ ხელი. ხომ უაზრობაა ვზრდიდეთ სურსათის წარმოებას, ვწყვეტდეთ უდიდეს ხარჯებს და არ ვზრუნავდეთ იმაზე, თუ როგორ მივაწოდოთ პროდუქტები მომხმარებელს. ჩვენ დაუყოვნებლივ, დაჩქარებული მეთოდებით, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მონაწილეობით უნდა გადავწყვიტოთ ეს ამოცანა.

წლინახევრის წინათ მივიღეთ გადაწყვეტილება გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარების ყველაზე გადაუდებელ საკითხზე. უკვე ბევრი რამ კეთდება, ამასთან კარგ დონეზე. თათბირის ამოცანად ის მიგვაჩნია, რომ ეს პრობლემა განვიხილოთ ყველაზე საქმიანი თვალსაზრისით, კრიტიკულად გავაანალიზოთ საქმის ვითარება, დავსახოთ კვების მრეწველობის განვითარების დაჩქარების კომპლექსური პროგრამა.

მოხსენება „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი დარგების განვითარების დაჩქარებისათვის პარტიული და სამეურნეო ორგანოების ამოცანების შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ი. რიჟკოვმა.** მან თქვა, რომ პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე დასახულ მრავალფეროვან და რთულ სოციალურ პრობლემათა შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა უპირველეს პრობლემებად გამოყო სურსათით, ბინით, საკონლითა და მომსახურებით ხალხის უზრუნველყოფა. ყველა ამ საკითხს განსაკუთრებული მზრუნველობა აქვს გარდაქმნის საქმისათვის.

და ეს გასაგებია, თუ არ დავაკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების ყველაზე საარსებო მოთხოვნილებები, რეალურად და სრულად ვერ ავამოქმედებთ მათს ინიციატივას, ვერ გავზრდით დაინტერესებას სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტით, ვერ მივაღწევთ არსებითს ძვრებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში. უფრო მეტიც, საზოგადოების დემოკრატიზაციის დაწყებული პროცესი, მეურნეობრობის ახალ მეთოდებზე გადასვლა, ბრძოლა იმისათვის, რომ თითოეული მშრომელი გახდეს ნამდვილი ბატონ-პატრონი წარმოებაში, განუყრელად არის დაკავშირებული ამ საკვანძო პრობლემების გადაჭრასთან.

პარტიის მიერ წამოყენებული უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა უახლოეს წლებში მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების შესახებ უნდა განვიხილოთ ამასთან ურთიერთდაკავშირებული ამოცანების მთელი კომპლექსით. როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი დაჩქარებისა და განვითარების დიდი მასშტაბის ღონისძიებათა განუხრელ განხორციელებასთან ერთად ახლა სასურსათო რესურსების შევსების რეალური წყაროა პროდუქციის დანაკარგების შემცირება მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს.

საქმე იმას ეხება, რომ ცენტრშიც და ადგილებზეც მძლავრი იმპულსი მივანიჭოთ გადამმუშავებელი დარგების პრიორიტეტული განვითარების შესახებ პარტიის მითითებების რეალიზაციას, თავიდან მოვიცილოთ ჩამოყალიბებული შეხედულებანი, თითქოს ისინი ეკონომიკის მეორეხარისხოვანი სფერო იყოს. აქ გვჭირდება რადიკალური ცვლილებანი, ნოვატორული მიდგომა სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ტექნიკური განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ღრმა რეკონსტრუქციისადმი.

მხოლოდ ამ გზით დავძლევთ გადამმუშავებელი მრეწველობის მეტისმეტ ხელშეუკვეთლობას. ეს შესაძლებლობა მოგვცემს ყველაფერი ის, რაც მოყვანილი და მიღებულია მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა მძიმე შრომის ფასად, გადავაქციოთ კვების მაღალხარისხოვან პროდუქტებად, არსებითად გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების სასურსათო უზრუნველყოფა, საქმის ვითარება ისეთია, რომ პრობლემა სახალხო-სამეურნეოდან გადაიზარდა საერთო-სახელმწიფოებრივ პრობლემად, რომელიც უშუალოდ ეხება მთელი ხალხის ინტერესებს, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გახდა დიდი პოლიტიკური პრობლემა.

„სწორედ ამიტომ სახალხო-სამეურნეო კომპლექსში ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ნედლეულისა და სასურსათო პროდუქციის გადამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასთან, დღეს წინა პლანზე დგება. ამ დარგს შეუძლია და კიდევაც უმდა აკმაყოფილებდეს სრულად სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებებს. და იგი დაკმაყოფილებს კიდეც, თუ მიაღწევს ყველაზე მოწინავე ტექნიკურ დონეს.

მაგრამ უკვე დიდი ხანია აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი დარგები ქრონიკულად ჩამორჩენა განვითარებაში ეკონომიკის საჭიროებებს და საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებებს. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ განსხვავება სულ უფრო მატულობს. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი სამეურნეო ორგანოები, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდნენ კვების მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას, დროზე არ ახორციელებდნენ აქ მომწიფებული დიდი პრობლემების გადაჭრას.

უწყვრიობასა და კუთხურობას, სუბიექტურ მიდგომას ზნირად მოსდევდა სურსათო ხარვეზები სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შენახვისა და გადამუშავების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განლაგების დაგეგმვაში. ამ დარგისად-

(გაგრძელება მე.2 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა პარტიის საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებს

19 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა რუსეთის სფსრ არაშავმოწინაიდაგიანი ზონის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პარტიის საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებს.

შეხვედრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ ვრცელ რეგიონს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. აქ თავმოყრილია მძლავრი ინდუსტრიული ცენტრები, ვრცელი სასოფლო-სამეურნეო რაიონები, დიდი მეცნიერული ძალები და წარსულისა და აწმყოს კულტურული ღირებულებანი. ეს რეგიონი ყველა ისტორიულ ეტაპზე უდიდეს როლს ასრულებდა პროგრესისა და ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

გაიმართა საფუძვლიანი აზრი გაზიარება გარდაქმნის მიმდინარეობის, არაშავმოწინაიდაგიანი ზონის თაობაზე წინათ მიღებული პროგრამის შესრულების, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის საკითხებზე.

საუბრის დროს გამოვიდნენ პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები: სვერდლოვსკისა — ი. ვ. პეტროვი, მოსკოვისა — ვ. კ. მესიაცი, ორიოლისა — ე. ს. სტროევი, ნოვგოროდისა — ი. ი. ნიკულინი, კალინინგრადისა — დ. ვ. რომანენი, ფსკოვისა — ი. ნ. პოგორელოვი, კალინინისა — ნ. თ. ტატარჩუკი, მორდვეთისა — ა. ი. ბერიოზინი.

საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს ადგილებზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაკეთილშობილებაზე, თქვეს, თუ რა მუშაობას ეწევიან ზონის ოლქებისა და რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა უზრუნველსაყოფად. ხაზგასმით აღინიშნა, თუ როდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის მიერ არაშავმოწინაიდაგიანი ზონის თაობაზე მიღებულ დადგენილებებს წარმოების მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სოფლის სოციალურ-კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. გამოთქვეა მთელი რიგი წინადადებანი ამ მიმართულებით მუშაობის სრულყოფის შესახებ, აგრეთვე კრიტიკული შენიშვნები უწყება-სამინისტროების მიმართ.

საუბრის ბოლოს მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიულ კომიტეტებსა და პარტორგანიზაციებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ გარდაქმნის ყველა პ

გადამუშავებული მრეწველობის ახალი მიჯნები

(გაგრძელება)

მი ინვესტიციური პოლიტიკის განხორციელებაში ყველაზე მეტად გამოჩნდა „ნარჩენების გამოყოფის მეთოდი“.

საქმე იქიდან მიჰიდა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის პირობებში მკვეთრად შემციდა გადამუშავებელ სიმძლავრეთა ამოქმედება. მაგალითად, ხორცის გადაუშავებაში იგი მეთერთმეტე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 2,3-ჯერ შემცირდა, მოუხდელი რძის პროდუქციის გამოშვებაში — 1,7-ჯერ, ყველისა — 1,6-ჯერ, თუმცა ხორცის საშუალო წლიური წარმოება სოფლის მეურნეობაში 16, რძისა კი 8 პროცენტით გაიზარდა. ვითარება არ უმჯობესდება მიმდინარე ხუთწლედშიც.

დღეს გადამმუშავებელი მრეწველობა არა მარტო სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს დაკისრებულ ფუნქციათა შესრულებას, არამედ სასურსათო პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდის სერიოზული მუხრუჭიც გახდა.

თუ რა უნდა გაკეთდეს, ნათელია: საჭიროა მთელი გადამმუშავებელი ფეტრის განახლება. მაგრამ ტექნიკური განახლება, მით უმეტეს ძირეული გარდაქმნა წარმოუდგენელია, თუ არა გვაქვს ის, რითაც უნდა აღვიჭურვოთ. ეს საკითხთა საკითხია. სასურსათო მანქანათმშენებლობასთან დაკავშირებით დაშვებული ჩამორჩენა გაცილებით უფრო სერიოზულია. 20 წლის წინათ შექმნილმა მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების სამინისტრომ ვერ გადაწყვიტა და მისი ახლანდელი მდგომარეობაც არ აძლევს იმის საშუალებას, რომ გადაწყვიტოს გადამმუშავებელი მრეწველობის დიდად განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პრობლემები.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააანალიზა სექმის ვითარება ამ სამინისტროში, მკაცრად გააკრიტიკა კოლეგია და მინისტრი ლ. ბ. ვასილიევი იმისათვის, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო დარგის შტაბიდან, რომელიც მოწოდებულია ამოქმედოს მთელი არსებული პოტენციალი გადამმუშავებელ მრეწველობაში გარდაქმნათა უზრუნველყოფისათვის, საკუთარი უძრაობის შემყურედ გადაიქცა. ამის შედეგად გადამმუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებანი უმნიშვნელოვანეს სახეობათა მოწყობილობაზე მოცულობისა და ნომენკლატურის მიხედვით მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

სიძნელეებში, რომლებსაც გადამმუშავებელი მრეწველობა აწყდება, დამნაშავენი არიან სხვა სამინისტროებიც. კვების მრეწველობის მუშაკებთან ერთად სექმის შექმნილი ვითარებისათვის მთლიანად აგებენ პასუხს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიები და პირადად მინისტრები ი. ა. ბესპალოვი, ვ. ა. დურასოვი და მ. ი. ბუსიგინი. მათ სამინისტროებს არ შეუქმნიათ ტარასაფუთავი მასალების გამოშვების სიმძლავრენი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თანამედროვე კვების წარმოება.

შემდეგ ნ. ი. რიჟკოვი შეეხო აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი დარგების საშეცნიერო უზრუნველყოფას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ნაკლოვანებანია დარგობრივ მეცნიერებაში. სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიმართ. მისი ინსტიტუტები პრაქტიკულად განუდგნენ ფუნდამენტურ გამოკვლევებს კვების მრეწველობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით. ეს სამუშაო მხედველობიდან გამორჩა სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტსაც. ისიც კი, რაც მეცნიერებმა გააკეთეს, მთლიანად როდია გამოყენებული.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში არ არის არა მარტო სპეციალიზებული ინსტიტუტი ან განყოფილება, არამედ არც ერთი საკმაოდ მძლავრი ცენტრი, რომელიც გადამუშავების დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებს გადაჭრიდა. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სამინისტროს არ გაუხსნია უნივერსიტეტებში არც ფაკულტეტები, არც კათედრები, რომლებიც მოამზადებენ სამეცნიერო კადრებს გადამმუშავებელი მრეწველობის კვლევითი ინსტიტუტებისათვის.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიაშიც კი არ არის ქვეგანყოფები, რომლებიც უშუალოდ მოჰკიდებდნენ ხელს ამ საკითხებს. ფაქტობრივად გადამმუშავებელ დარგში ახალი სამეცნიერო მიმართულებების განვითარებისათვის არავინ არ აგებს პასუხს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ არის ჩავარდნა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი სფეროს სამეცნიერო უზრუნველყოფაში.

შეეხო რა შემდეგ გადამმუშავებელ მრეწველობის დაჩქარებული განვითარების კურსის პრაქტიკული რეალიზაციის ძირითად მიმართულებებს, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აქ მთავარია ახალი თაობის სასურსათო მანქანების ფართო გამოყენება, ნედლეულის უფრო ღრმა და კომპლექსური გადამუშავება და ამ გზით მისი დანაკარგების მკვეთრი შემცირება. მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ დასახული შედგენილობისა და თვისებების, გადიდებული ბიოლოგიური ღირებულების მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტების წარმოება. ახალი ტექნოლოგიები საშუალებას მოგვცემს 1,2 — 1,3-ჯერ გაზარდოთ ნედლეულის იმავე რაოდენობიდან პროდუქციის გამოსავლიანობა. ქვეყანაში უკვე არის საწარმოები, რომლებიც ასეთ მაჩვენებლებს აღწევენ. მათ განეკუთვნება, მაგალითად, სეერდლოვსკის, ტალინისა და კრივოი როგის ხორცკომბინატები. ასეთი გამოცდილება ყველგან უნდა ავითვისოთ.

თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიყვანოთ სასურსათო კომპლექსის მეორე მნიშვნელოვანი რგოლიც — შესანახი ბაზა. აქ უაღრესად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პროდუქციის სწრაფი დაბალტემპერატურიანი გაცივება და გაყინვა, რეგულირებულ გაზის გარემოში შენახვა, აქტიური ვენტილაციის პროცესების ავტომატური მართვა, ეფექტიანი პოლიმერული აფსკები, მათ შორის დაფასოებული პროდუქტების შენახვისთვისაც. თითოეული მაცივარი, ელევატორი, ბოსტნეულისა თუ კარტოფილის საცავი უკვე უახლოეს წლებში უნდა აღვჭურვოთ თანამედროვე მოწყობილობით.

ძირეული გარდაქმნები უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირებაში. ეს ეხება უწინარეს ყოვლისა სპეციალიზებული ტრანსპორტის განვითარებას, პაკეტებითა და კონტეინერებით გადაზიდვას, ფართოდ უნდა გავრცელდეს ისეთი პროგრესული სახეობის ტრანსპორტი, როგორიცაა მილსადენი და პნევმატური.

ორიენტირები და მიჯნები, რომელთა შესაბამისად უნდა აწარმოონ მთელი მრავალმხრივი მუშაობა სსრ კავშირის სახგარომრეწვშია, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, განსაზღვრულია აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი დარგებისათვის მოწყობილობის წარმოების გადიდებისა და ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე 1988-1995 წლებში გადამმუშავებელი დარგების დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა პროექტებით. 1987 წელს მოწყობილობის მიწოდება 2,1 მილიარდ მანეთს მიაღწევს. 1990 წელს იგი გაზრდება 4 მილიარდ მანეთამდე და 1995 წელს—7,5 მილიარდ მანეთამდე.

მთლიანად 1988-1995 წლებში მოწყობილობის მიწოდების მოცულობა შეადგენს დაახლოებით 37 მილიარდ მანეთს, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე წინა 40 წლის განმავლობაში. მაგრამ მარტო მრავალგზისი ზრდა როდია მნიშვნელოვანი. უნდა ავითვისოთ ახალი თაობის დიდმწარმოებლური ტექნიკის, უმთავრესად, ისეთი მანქანების სისტემების გამოშვება, რომლებიც მოიცავენ დიდ გარდაქმნებს შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების მთელი კომპლექსის მიხედვით.

მეცამეტე ხუთწლედის დამლევისათვის გათვალისწინებულია სამჯერ და მეტად გაზარდოთ სასურსათო ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების მოწყობილობის წარმოება. ფართოდ გამოვიყენებთ ავტომატიზაციისა საშუალებებს, რობოტტექნიკურ მოწყობილობას, მიკროპროცესორულ და გამოთვლით ტექნიკას, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ საკონლის ხარისხს, შრომის პირობებს.

მრეწველობის გადამმუშავებელ დარგებს სჭირდებათ დაახლოებით 8 ათასი დასახელების ტექნოლოგიური მოწყობილობა, მათგან 4 ათასი ხელახლა უნდა შეიქმნას. მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო კი სულ დაახლოებით 2 ათასი დასახელების მოწყობილობას ამზადებს.

ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას რომ თავი გავაცურთვათ, მის გადაჭრაში უნდა ჩავბათ მრეწველობის თავდაცვითი დარგებს; აგრეთვე სამოქალაქო მანქანათმშენებლობის მძლავრი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და სახგარომრეწვის მანქანათსაშენებელი საწარმოები. უნდა გამოვიყენოთ შესაძლებლობანი, რომლებიც აქვთ ქიმიურ-სატყეო, სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსებს, ინდუსტრიის საბაზო დარგებს, მოკავშირე რესპუბლიკებს.

შემდეგ ნ. ი. რიჟკოვმა დასახელა ძირითადი მიზნები, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ. მთელი დასახული განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს შევამციროთ დანაკარგები, გავაღრმაოთ გადამუშავება და ამ გზით 8 წლის მანძილზე იგივე რაოდენობის ნედლეულიდან დამატებით მივიღოთ თითქმის 40 მილიარდი მანეთის სხვადასხვაგვარი პროდუქტი.

მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მთელი იმ მარცვლეულის დაცვა-შენახვასა და რაციონალურ გამოყენებას, რომელიც მიწოდამოქმედებს მოჰყავთ. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა და მაყაფოცილებისა და საზღვარგარეთ დიდ შესყიდვებზე უარის თქმის გზა. იგი საშუალებას მოგვცემს ყველაზე ფართო ასორტიმენტითა და სრული მოცულობით მოსახლეობას მივაწოდოთ მაღალხარისხოვანი პურფუნთუშეული, ბურღული, მაკარონეული და საკონდიტრო ნაწარმი.

მოხსენებაში დაწვრილებით იყო გაანალიზებული გადამმუშავებელი დარგების მიმართ საინვესტიციო პოლიტიკა. განვლილი სამი ხუთწლედის მანძილზე ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში 39 პროცენტით გადიდდა, კვების მრეწველობაში კი მხოლოდ 17 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობაში — 13, საფქვავ-პურღეღეული მრეწველობაში — 7 პროცენტით. ამის შედეგად სოფლად ძირითადი საწარმოო ფონდების მატების ტემპი 1,5-2-ჯერ მეტი იყო, ვიდრე მთელ რიგ გადამმუშავებელ დარგებში. აქ არის ბევრი პრობლემის ფესვი, რომლებსაც დღეს ქვეყნის სახალხო მეურნეობა წაწყდა.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უკვე მეთორმეტე ხუთწლედის გეგმა შეიცვალ დიდ ცვლილებებს ამ მიზნით ინვესტიციების სტრუქტურასა და ეფექტიანობის გაზრდაში. კერძოდ, გათვალისწინებულია 1,5-ჯერ გაიზარდოს აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი დარგების კაპიტალური დაბანდებანი, მაშინ როცა მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის მიხედვით ისინი 22 პროცენტით მოიმატებს.

პირველად კაპიტალური დაბანდებების განაწილება აგროსამრეწველო კომპლექსის მთელი სტრუქტურის მიხედვით გადაეცა ერთ ხელში — სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, მის ადგილობრივ ორგანოებს. უკვე მარტო ამას უნდა გამოესწორებინა გადახრები საინვესტიციო პოლიტიკაში, მაგრამ კარდინალური ცვლილებანი არსებითად არ მომხდარა. დაბანდებანი კვების მრეწველობაში 1986 წელს 2 მილიარდ მანეთამდე შემცირდა, მაშინ, როცა 1985 წელს 2,2 მილიარდი მანეთი იყო.

დასახული გეზიდან გადახრას კიდევ უფრო აღრმავებს გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების არადამაკმაყოფილებელი გამოყენება, კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა. ეკონომიკას დიდი ზარალი ადგება საწარმოთა მოუფიქრებელი, არასწორი განლაგების შედეგად.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ გადამმუშავებელი დარგების პრიორიტეტული განვითარება, საინვესტიციო პოლიტიკის სერიოზული კორექტირება, კაპიტალური შენებლობის გაუმჯობესება — ეს არის საკვანძო საკითხები, რომლებითაც გამსჭვალული უნდა იყოს სსრ კავშირის სახგარომრეწვის, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, ადგილობრივ ორგანოებს.

ეს არის ამ ეტაპზე ჩვენ უნდა ამოვფხვრათ სერიოზული სამეურნეო დისპროპორციები. მართლაც ძნელი ასახსნელია; თან ხორცის პროდუქტები გვაკლია, თან კი ხშირად ვერსად გადაგვმუშავებია ნასუქი პირუტყვი. ცალკეულ რეგიონებში ხორაკომბინატების სიმძლავრე მოთხოვნილების მხოლოდ 45-50 პროცენტს შეადგენს. მნიშვნელოვანი განსხვავებაა აგრეთვე ბოსტნეულის წარმოების მოცულობასა და მის გადამმუშავებელ სიმძლავრეებს შორის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ღვინო-არყისა და სპირტის წარმოებათა პროფილის სწრაფ შეცვლას. ასეთი საწარმოების რაოდენობა ორი ათასს აღემატება. თუ ამ ბაზას მარჯვედ გამოვიყენებთ, უკვე უახლოეს ერთ-ორ წელიწადში შეძლებთ საგრძნობლად გავზარდოთ კვების პროდუქციის გამოშვება.

მომხსენებელმა საგანგებოდ აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა გაიზარდოს ინვესტიციები მეურნეობრიობის ისეთ სფეროში, როგორიც არის შენახვა. მტკიცე ბაზის შექმნას უნდა მოხმარდეს დაბანდების არსებითი წილი, ჯერჯერობით კი მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოიყოფა. არსებითად ეს არის ყველაზე სუსტი რგოლი პროდუქციის წარმოების ადგილიდან რეალიზაციამდე მსვლელობის ტექნოლოგიურ ჯაჭვში.

გათვალისწინებულია შეიცვალოს შექმნილი სიტუაცია. შემდგომში სასაწყობო მეურნეობებისა და გადამმუშავებელი საწარმოების მშენებლობა დასახულია მაქსიმალურად იქნეს გადატანილი უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ნ. ი. რიჟკოვმა მწვავედ გააკრიტიკა „ცენტროსოიუზის“ სისტემაში პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის სიმძლავრეთა რეკონსტრუქციისა და შექმნის მდგომარეობა, სუსტი დამამზადებელი საქმიანობა ადგილებზე, განსაკუთრებით მოსახლეობაში ნამეტი პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაციის საქმეში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი და გადამმუშავებელი საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი.

შეეხო რა სასურსათო ტვირთის გადაზიდვის სატრანსპორტო უზრუნველყოფის საკითხებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახლა, როდესაც აგროსამრეწველო კომპლექსში ერთ ხელშია თავმოყრილი 2, 6 მილიონნი ავტომობილი და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი, შეიძლება, ბოლოს და ბოლოს გადაიჭრას წარმოების ადგილებში პროდუქციის მიღების, მისი ცენტრალიზებული გატანის პრობლემაც.

აქ საქმიანობის დიდი ასპარეზი აქვს გზათა სამინისტროსაც, რომლის წილად მოდის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და კვების პროდუქციის გადაზიდვის დაახლოებით 55 პროცენტი. საჭიროა განხორციელდეს მოძრავი შემადგენლობისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის მეურნეობის რეკონსტრუქცია, შეესაბამოს იგი თანამედროვე მოთხოვნებს. მნიშვნელოვნად უნდა გაანალდეს აგრეთვე საზღვაო და სამდინარო გემების პარკი, სპეციალიზებული საავტომობილო ტრანსპორტი.

მთავარია დროულად მოვემზადოთ და დავუკავშიროთ გადამმუშავებელი დარგებისათვის ტექნიკის მიწოდების მომავალი გადადება შესაბამის კაპიტალურ დაბანდებებს, უზრუნველვყოთ მისი სწრაფი ამოქმედება. აქ განსაზღვრელი პირობა ინვესტიციების მაღალი ეფექტიანობა. ხოლო სახსრები, რომლებიც სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა გაგზავნონ, უზარმაზარია — 2,3-ჯერ მეტი, ვიდრე წინა 8 წლის მანძილზე. მიმდინარე ხუთწლედის დარჩენილი წლების მანძილზე ასათვისებელია 26 მილიარდი მანეთი და 1991 — 1995 წლებში — 51 მილიარდი მანეთი. სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ღრმად უნდა გააანალიზონ აგროსამრეწველო კომპლექსისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენება და შესაბამისად გადანაწილონ ისინი.

მართლაც რომ გრანდიოზული ამოცანაა დასახული. 1995 წლისათვის 1,2 — 1,5-ჯერ უნდა გაიზარდოს პირუტყვისა და ფრინველის გადამმუშავებელი, მოუხდელი რძის პროდუქციის, ყველის, მცენარეული ზეთის, მაღალხარისხოვანი ნატურალური ერბოკარაქის შემცველების გამომმუშავებელი, ხილბოსტნეულის კონსერვების გამომშვები სიმძლავრენი. მომდევნო ხუთწლეულის დამლევისათვის გათვალისწინებულია უზრუნველყოფილ იქნეს ამ სიმძლავრეებზე არსებულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს აგროსამრეწველო კომპლექსის ამ პასუხსაგებ უბანზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის, ცხოვრებისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებას.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებს. აღინიშნა, რომ 1985 წლიდან მოყოლებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ, ხორციელდება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის მთელი სისტემის გარდაქმნა. შექმნილია სსრ კავშირის სახაგრომრეწვი, ჩამოყალიბებულია მისი ადგილობრივი ორგანოები. მაგრამ ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ უბანზე განსაკუთრებული ცვლილებები არ შეიმჩნევა — სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გადამმუშავებელი დარგების ინტეგრაცია პრაქტიკულად არ მომხდარა.

ახლა უაღრესად საჭიროა არა მარტო გავაძლიეროთ აგროსამრეწველო კომპლექსში მთელი ინტეგრაციული პროცესის საწარმოო მიზანმიმართულება, არამედ უზრუნველვყოთ კიდეც მისი განვითარება იმ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, რომლებიც პარტიის XXVII ყრილობამ განსაზღვრა. ანუ მივაღწიოთ იმას, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგი გადაიქცეს ერთიან, განუყოფელად შეკავშირებულ ორგანიზმად. არსებითად ახლა ისინი ეკონომიკურად დაქსაქსულნი მუშაობენ, აქვთ ხშირად ერომანეთის საწინააღმდეგო დაგეგმვის, საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდების შექმნის სისტემები. ყოველი ქვედარგი ორიენტირად მიიჩნევს თავის შედეგებს, რომლებიც სინამდვილეში მხოლოდ შუალედურია. ამავე დროს კარგა ხანია მომწიფდა საჭიროება ყველა შრომითი კოლექტივის, სამეურნეო ორგანოების ძალისხმევა მოვახმაროთ არა შუალედურ დავალებებს, არამედ მაღალი საბოლოო სახალხოსამეურნეო ეფექტის მიღწევას, ე. ი. იმას, რასაც ძალევს ხალხს გადამმუშავებელი მრეწველობა.

ყოველივე ეს აშკარაა. მაგრამ არც სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. ივენკოს და არც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს პ. ა. პასკარს, რომლებიც პასუხს აგებენ აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის, არ გამოუტანიათ შექმნილი მდგომარეობიდან შესაბამისი დასკვნები.

იმისათვის, რომ სწორად მოვგვაროთ ეკონომიკური ურთიერთობანი, გადავიყვანოთ სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი დარგების ყოველი რგოლი სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, გვმართებს სრულიად ახლებური სისტემური მიდგომა და მოქმედების კოორდინაცია. სსრ კავშირის სახაგრომრეწვში, ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებში, მოკავშირე რესპუბლიკებში ამ საკითხის გადასაწყვეტად მიმდინარეობს მუშაობა და მისი დამთავრება დაანქარებს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების ინტეგრაციის პროცესს, უფრო მჭიდროდ დაუკავშირებს ერთმანეთს მათ ინტერესებს.

ახალი სამეურნეო მექანიზმი — ეს არის არა მარტო მართვის ეკონომიკური მეთოდები, ბერკეტები და სტიმულები, არამედ აგრეთვე შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები. უაღრესად სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს წინადადებანი ისეთი ახალი საწარმოო სტრუქტურების შექმნის შესახებ, რომლებიც მოიცავენ ტექნოლოგიის მთელ ციკლს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოვლა-მოყვანით დაწყებული და მისი გადამუშავებითა და მომხმარებლამდე მიტანით დამთავრებული.

ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი: შეიქმნა პირველი აგროსამრეწველო კომბინატები და გაერთიანებანი, აგროფირმები. ისინი საქმიანობენ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართო გამოყენებას. ახალი საწარმოო სტრუქტურების შექმნას, ინტეგრაციის ტრადიციული ფორმების ფართო განვითარებასთან ერთად, მტკიცედ უნდა მოუყარონ თავი თავიანთ ხელში პარტიული ორგანიზაციების შეუნელებელი კონტროლით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა, სხვა ადგილობრივმა მმართველობის ორგანოებმა.

ყოველივე ამას უსათუოდ სსრ კავშირის სახაგრომრეწვი უნდა ჩაუდგეს სათავეში. აქ სერიოზული მუშაობა მოუწევს ახლად შექმნილ სსრ კავშირის აგრომრეწვბანკსაც, რომელიც მოწოდებულია ეკონომიკურად განმტკიცოს აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო ინტეგრაციის პროცესის განვითარება, მოახმაროს ფინანსური რესურსები უწინარესად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის ასეთი დიდი მასშტაბი ჩვენს სამამულო გადამმუშავებელ მრეწველობას არ ახსოვს, თქვა ნ. ი. რიჟკოვმა. ის, რისი შესრულებაც მოგვიწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაა პროექტების შესაბამისად, მოითხოვს ზუსტ ორგანიზაციულ-პრაქტიკულ მუშაობას.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივმა ორგანოებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სხვა ცენტრალურმა ეკონომიკურმა ორგანოებმა ტექნიკის მიწოდების გადიდების შესახებ დადგენილების პროექტის შესაბამისად 3 თვის ვადაში უნდა შეიმუშაონ და დამტკიცონ ახალი მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის შექმნის პროგრამა, გაითვალისწინონ მათი წარმოება 1988—1995 წლებისათვის დასახული მოცულობითა და ტემპით. ამასთან უნდა განისაზღვროს ნაწარმის კონკრეტული ნომენკლატურა მანქანათსაშენებლო კომპლექსის თითოეული სამინისტროს, მრეწველობის თავდაცვითი დარგებისა და სსრ კავშირის სახაგრომრეწვის საწარმოების მიხედვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეულმა სამინისტრომ ზუსტად უნდა იცოდეს, რისთვის აგებს პასუხს ამ რვა წლის უაღრესად დაძაბული მუშაობის განმავლობაში.

განსაკუთრებით დიდია მანქანათსაშენებლო სამინისტროების როლი და პასუხისმგებლობა, აღინიშნა ნ. ი. რიჟკოვმა. ისინი ნამდვილად უნდა ჩაებან გადამმუშავებელ დარგების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საქმეში. მარტო ხუთწლედის დარჩენილი სამი წლის განმავლობაში უნდა შეიქმნას და მოდერნიზებულ იქნეს 3 ათასზე მეტი დასახელების მოწყობილობა. ამისათვის საჭიროა უკვე 1988 წლიდან მკვეთრად გავზარდოთ სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა მოცულობა, დაუყოვნებლივ ჩავბათ ამ საქმეში საუკეთესო შრომითი კოლექტივები, სპეციალისტთა გამოცდილი კადრები.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოებს. პარტიამ და მთავრობამ საჭიროდ ცნეს მკვეთრად გაძლიერდეს მათი როლი ეკონომიკური და სოციალური ამოცანების რეალიზაციაში, ამასთან მიუნეჭოთ მათ ტერიტორიის ბეშმარიტ ბატონ-პატრონთა უფლებები და რწმუნებები. ახლა სწორედ ისინი აგებენ პასუხს თავიანთ რეგიონებში სასურსათო ბაზის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. დადგენილებათა წარმოდგენილი პროექტები მტკიცე საძირკველზე ამყარებენ პროგრამას, რომლის ზუსტი შესრულებაც მოგვეთხოვება ახლა ადგილებზე.

ცხადია, რომ ამ პროგრამის შესრულებას შეეძლება მხოლოდ სამშენებლო ინდუსტრიის საამედო ბაზაზე დაყრდნობით. და ეს საკითხები, როგორც ცნობილია, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ხელშია თავმოყრილი. მაგრამ ბევრ რეგიონში მათ არ ანიჭებდნენ ჯეროვან ყურადღებას. ამის შედეგად ჩაბალა გადამმუშავებელ საწარმოთა მშენებლობის ორწლიანი პროგრამა.

განა შეიძლება დავეთანხმოთ, მაგალითად, იმას, რომ რუსეთის ფედერაციაში 1986-1987 წლებში გათვალისწინებული იყო შაქრის ფხვნილის წარმოების სიმძლავრეთა ამოქმედება ხუთწლედის დავალების მხოლოდ 19 პროცენტის ოდენობით, მცენარეული ზეთისა — 13 პროცენტის ოდენობით. ეტყობა, დანაარენს ხუთწლედის უკანასკნელ წლებზე უპირებენ მიკუთვნებას. რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის სახმშენში უნდა ახსოვდეთ წარსულის გაკვეთილები და იცოდნენ, რა მოსდევს ამას. როგორც უკვე არაერთგზის ყოფილა, პირველ წლებში სამშობლოს ვუპატაკებდით ხოლმე გეგმების შესრულებას, ხოლო საბოლოოდ მორცხვად ვდუმდით ხუთწლიანი დავალების ჩაშლის გამო.

რუსეთის ფედერაცია გამონაკლისი არ არის. ისეთივე სენი შეეყარა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც. უზბეკეთის სსრ რესპუბლიკაში პირუტყვის გადამუშავების სიმძლავრეთა მოსალოდნელი ამოქმედება 1986-1987 წლებში შეადგენს მხოლოდ ხუთწლედის დავალებათა 19 პროცენტს. ამასთან მათი მატება ჯიბაკის, ხორაზმისა და ნამანგანის ოლქებში საერთოდ არ დაუგეგმავთ, თუმცა დავალებები გათვალისწინებულია.

დაძაბული, საყოველთაო-სახალხო მუშაობის ფონზე შეუწყნარებელია კუთხურობის, სხვათა მოიმედობის გამოვლინება ნ. ი. არის ოლქები და მთელი რესპუბლიკებიც კი, რომლებიც უაღრესად ცუდად იყენებენ შესაძლებლობებს სასურსათო რესურსების შესავსებად და საკუთარი ხარვეზების შედეგად გამოწვეული რესურსების დახაკლისის დაფარვას ცდილობენ სახელმწიფოს ხარჯზე.

მაგალითად, დაჰკარგა მცენარეული ზეთის მიმწოდებლის ძველი სახელი მოლდავეთმა. ზეთის წარმოება აქ 1970 წელთან შედარებით თითქმის 30 პროცენტით შემცირდა. ყოველივე ამას შედეგად მოჰყავ ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში ზეთის მიწოდების მკვეთრი შემცირება.

ამავე დროს ვხვდებით სხვა ფაქტებსაც. საკავშირო ფონდში ყველა მიწოდებას ზუსტად ასრულებს, მაგალითად, ბელორუსია, რესპუბლიკამ წელსაც იკისრა ვალდებულება გეგმის გადამეტებით მისცეს ქვეყანას 7,5 ათასი ტონა ხორცი, 66 ათასი ტონა რძე და რძის პროდუქტები, 300 ათასი ტონა კარტოფილი.

ორი მაგალითი — ორი განსხვავებული მიდგომა. ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. მაშასადამე, გვქონდა, გვაქვს და გვექნება საერთო-საკავშირო საჭიროებები. ამიტომ ყოველგვარი კუთხურობა დაუშვებელია.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, რათა ეფექტიანად გამოიყენონ არსებული საწარმოო პოტენციალი და არ დაუწყონ ლოდინი ნედლეულისა და კვების პროდუქციის გადამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების მთელი ინდუსტრიის, ტექნიკური განახლების დამთავრებას.

იმისათვის, რომ წესრიგში მოვიყვანოთ ბევრი საწარმო, არ არის საჭირო განსაკუთრებული გადაწყვეტები. საჭიროა ელემენტარული სიმტკიცე, ყოველდღიური ზრუნვა. აქ ეუცილებელია, რომ ადგილობრივი ორგანოები ჯეროვნად ეკიდებოდნენ გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა პრობლემებს, იმას, რომ ისინი ყველანი სრულად შეესაბამებოდნენ წარმოების ტექნოლოგიურ მოთხოვნებსა და სან

გადამუშავებული მრეწველობის ახალი მიჯნები

(დასასრული)

ამ საქმეს, აწონ-დაწონილად, კომპლექსურად მივუდგეთ მის გადაწყვეტას, კონკრეტულად განვსაზღვროთ ყველა სამინისტროს და უწყების, საშეცნიერო დაწესებულების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა კადრების ადგილი და წვლილი.

უამისოდ თანამედროვე, კულტურულ, მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა შესაბამის სასურსათო მომარაგებას ვერ მოვაგვარებთ. აქ არავითარი ალტერნატივა არა გვაქვს, მთელი ძალები უნდა მოვახმაროთ ამ საფიროს. რომელიღაც ამოცანებს მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო გადაწყვეტს, მაგრამ ისეთი ვითარებაა კვების მრეწველობის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მანქანების ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და სისტემების შემუშავებისა და დამზადებისათვის, რომ ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავბათ სხვა სამინისტროების, მათ შორის თავდაცვის სამინისტროს მანქანათაშენებელი საწარმოები.

იმისათვის, რომ ძირეულად გადოვასწოროთ საქმის ვითარება მრეწველობის სასურსათო დარგებში, უნდა გავაორეკეოთ მოწყობილობის გამოშვება მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროში, ხოლო მანქანათმშენებლობის სხვა დარგებში ეს მოცულობანი გავზარდოთ 4-9-ჯერ. ამასთან საქმე ეხება ახალი თაობის ტექნიკის წარმოებას. მივესალმები აკადემიკოს ლ. ნ. კოშკინისა და სხვა ამხანაგების გამოსვლას, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ყოველთვის სწორი არ არის ორიენტირის აღება მარტო არსებულ მსოფლიო დონეზე. ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ტექნიკურ პროგრესზე. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ყველაზე პროგრესული გადაწყვეტანი, რათა არ დავაკოსნერვოთ ძველი, დრომოძველი, მორალურად მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგია. თუ ხელი მოვკიდეთ სახალხო მეურნეობის ამ უბნის მოდერნიზაციას, ეს ასეთი მიდგომით უნდა გადავწყვიტოთ.

ვფიქრობ, სწორად აღინიშნა თათბირზე, რომ არ უნდა გაგვიტაცოს გიგანტომანიამ. მსხვილი საწარმოების დაპროექტება, მშენებლობა და აღქმენა მეტად ბევრ დროს მოითხოვს. სწორად აღნიშნა ვ. ა. სტაროდუბცევმა, რომ ჩვენში დიდი მოთხოვნაა კომპაქტურ, მომცრო მოწყობილობაზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებლად უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერატივებში. საერთოდ, კვების მრეწველობას, მეურნეობებს, სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებს სჭირდებათ სხვადასხვა ტიპის მოწყობილობის გონივრული შეხამება, ტექნიკურ საშუალებათა მთელი გამა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად აქტიურად იღვწოდს დასახული ღონისძიებების რეალიზაციისათვის და მკაცრად მოჰკითხავს იმათ, ვინც აფერხებს ესოდენ მწვავე პრობლემების გადაჭრას. ჩვენ ზოგჯერ სალაყბოდ ვაქცევთ ხოლმე მეტად მნიშვნელოვან საკითხთა განხილვას. ამან საკმაოდ მოიკიდა ფეხი ჩვენში: ჩავბაროთ ანგარიში, გვერდი ავუაროთ კონტროლს, ნაკლოვანებებისა და ჩავარდნების დროს წყლიდან მშრალი გამოვიდეთ. ახლა ასეთ პრაქტიკას ბოლო უნდა მოეღოს.

გარდაქმნის ახლანდელ ეტაპზე მთავარია ორგანიზატორული მუშაობა, კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ამბობენ, ეს ძნელი საქმეაო. დიახ, ამხანაგებო, ძნელია. ხალხს ესმის, რა არის ძნელი, მაგრამ არ აპირებს უკან დაიხიოს გარდაქმნის სიძნელეთა წინაშე. ეს უდიდესი პოტენციალია. ჩვენ გვჭირდება სოციალური, შრომითი, პოლიტიკური აქტიურობის ტრანსფორმაცია პრაქტიკული ამოცანების ხორციელსმად, მათ შორის ამ მიმართულებითაც.

მინდა უურადღება მივაპყრო შემდეგს. ჩვენ მიერ დასახული ღონისძიებების რეალიზაციის დროს არ იყოს არავითარი მომიზეზება, სხვა უწყების დამოწმება, ბოლომდე უნდა გადავწყვიტოთ საკითხები, რომლებიც ეხება მანქანათმშენებლებს, მეტალურგებს, ქიმიკოსებს, მშენებლებს, ელექტრონული, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის და ყველა სხვა დარგის მუშაკებს. ეს წარმატების აუცილებელი პირობაა.

ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ მიუპყრია ყურადღება იმისათვის, რომ ჩვენში ბევრი რამ ვერ არის რიგზე იმ სასურსათო საქონლის შემოზიდვაში, რომელიც ადგილზე უნდა მზადდებოდეს. განა ნორმალურია, როცა დიდძალი ხილბოსტნეულის კონსერვები იგზავნება შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ყაზახეთში, მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში, სადაც მდიდარი ნედლეული რესურსებია მათი წარმოებისათვის. ეს ეხება აგრეთვე საკონდიტრო ნაწარმს, მინერალურ წყალს, რომ აღარაფერი ვთქვათ მეცხოველეობის პროდუქციაზე.

ერთი სიტყვით, გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ამ თათბირზე ვიხილავთ, თითქოს უკვე ამთავრებენ წანამძღვრების — სამართლებრივი, ეკონომიკური, ყველა სხვა წანამძღვრის შექმნას იმისათვის, რომ უფრო სწრაფად გადავწყვიტოთ სასურსათო საკითხი. სწორედ ეს არის, კაცმა რომ თქვას, ამ თათბირის არსი.

ვაზოგადებ რა ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მინდა ერთხელ კიდევ ვთქვა: მოდით, კარგად ვიმუშაოთ. როცა ხალხი იგრძნობს, რომ სურსათით მომარაგებაში სერიოზული ცვლილებები ხდება, ეს იქნება ყველაზე კარგი აგიტაცია გარდაქმნის, ყოველივე იმის სასარგებლოდ, რისთვისაც ადამიანებს მოვუწოდებთ. მთელი კადრები, ყველა პარტორგანიზაცია უნდა შემოვბრუნოთ ამ საქმისაკენ — სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისაკენ, მისი გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის გაუმჯობესებისაკენ. ამ თვალსაზრისით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ახლახან სერიოზული შენიშვნები მისცა [illegible] კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ბრიანსკის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობას.

ახლა სიტყვებიდან და გადაწყვეტილებებიდან უნდა გადავიდეთ პრაქტიკულ მუშაობაზე, ინიციატივიან საქმიანობაზე ცენტრში და ადგილებზე, ინიციატივიანი მუშაობა ამ თათბირზე ჩვენი შეთანხმების რეალიზაციის ძირითადი მიმართულებაა. ყველაფერი, რაც დავთქვით, უნდა განხორციელდეს. აქ არავითარი შეღავათი არავის არ მიეცემა. კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ვიმოქმედოთ. ჩვენ ისეთი პოტენციალი შევიძინეთ, რომ, თუ ავამოქმედეთ, შეგვძლებთ მტკიცე ნაბიჯით წავიწოთ წინ სასურსათო პროგრამის შესრულების, პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციის გზაზე. (სპეციალი).

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმა და 1987 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ვ. ტალიზინის მოხსენება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის განხილვას იწყებს ღირსსახსოვარი მოვლენის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის წინ. ვვიდი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი სამშობლო გადააქცია მძლავრ ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოდ.

ჩვენი ქვეყნის მიღწევები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ განვითარებაში დამაჯერებლად ადასტურებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ცხოველუნარიანობას, აკვლენს სოციალიზმის უდიდეს პოტენციალს.

ჩვენი სახელმწიფოს აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ, რომლის მიზანია საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ბირთვული საშიშროების აღკვეთა, ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

დიდი ოქტომბრის იდეალების თანამიმდევრული განხორციელება გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დაწყებული გარდაქმნა. პარტიამ დასახა ამოცანა სრულად გამოვავლინოთ სოციალიზმის მთელი უპირატესობანი და აღმშენებლობითი შესაძლებლობანი, დავაჩქაროთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, საწარმოო ძალები ავიყვანოთ თვისებრივად ახალ დონეზე, შევქმნათ საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივ განვითარების ყველა პირობა. დღეს სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ გარდაქმნის მთლიანი კონცეფცია, რომელიც პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების დოკუმენტებში აისახა, თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად ხორციელდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში უდიდესი მუშაობა გაწეული ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგში და უწინარესად მის გადამწყვეტ სფეროში—ეკონომიკაში დიდი ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის.

შეეხო რა შემდეგ მიმდინარე წლის და ხუთწლიანის ორი წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობას, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებაში ხუთწლიდის განვლილ პერიოდში მიღწეული შედეგების შეფასების უნდა მივუდგეთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიის რეალიზაციაში მისი განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით. ამ ხუთწლედმა უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის გადასვლა ინტენსიური ზრდის გზაზე და ამავე დროს მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს შემდგომ წინსვლას.

ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მისი სიღრმისეული რეზერვების ამოქმედების საკითხებს არასდროს არ შეუსრულებია ისეთი გადამწყვეტი როლი, როგორც ახლა. მხოლოდ ამ საფუძველზე შეგვიძლია მთლიანად დავძლიოთ ეკონომიკის განვითარებაში წინათ შექმნილი ნეგატიური მოვლენები, დავაჩქაროთ მისი ტემპი და გავზარდოთ ეფექტიანობა, მივაღწიოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წელს გეგმის შესრულების მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად ვითარდება ხუთწლიანი გეგმის 1987 წლის მაჩვენებლების შესაბამისად. სამრეწველო წარმოების მატების ტემპმა ცხრა თვეში საგეგმო ბაზასთან შედარებით შეადგინა 4,8 პროცენტი, ხოლო ფაქტობრივ ბაზასთან შედარებით — 3,6 პროცენტი. საერთოდ მოსალოდნელია, რომ ხუთწლედის ორი წლის ძირითადი მაჩვენებლები შესრულდება. სამრეწველო წარმოების მატება შეადგენს 8,9 პროცენტს, სოფლის მეურნეობისა — დაახლოებით 10 პროცენტს. სტაბილურად მუშაობენ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, მეტალურგიული, — იზრდება პროდუქციის წარმოება აგროსამრეწველო კომპლექსში, მათ შორის მეცხოველეობაში.

უმჯობესდება სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახსრების ნაღი, რომლებიც მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას ხმარდება. ეს საშუალებას გვაძლევს, უფრო სწრაფი ტემპით ვაახლებდეთ შექმნილ პოტენციალს, ვზრდიდეთ მის მწარმოებლობასა და გამოყენების ეფექტიანობას.

ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტად მიმდინარეობს ინტენსიური ფაქტორების გამოყენების გზით. ამ ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ახალ სამეურნეო მექანიზმს.

ყველგან ხორცელდება აქტიური სოციალური პოლიტიკა. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდა შეეხებამება ხუთწლედს, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კი მეტია, რეალური შემოსავლის მატებამ ორ წელიწადში 4,6 პროცენტი შეადგინა. გეგმის გადამეტებით იზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. მატულობს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, ფართოვდება მომსახურების სფერო, ბევრი სახეობის საქონლისა და მომსახურების მიხედვით გათვალისწინებულია ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

მტკიცედ ხორციელდება სოციალური სფეროს ობიექტების და, უწინარეს ყოვლისა, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაჩქარების გეზი. კაპიტალურმა დაბანდებამ სოციალური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ორი წლის მანძილზე შეადგინა დაახლოებით 95 მილიარდი მანეთი, რაც 11 მილიარდი მანეთით გადააჭარბებს ხუთწლედის დავალებს. დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 15 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ბინები.

ამავე დროს ცალკეულ დარგებში ვერ მივაღწიეთ გეგმით დასახულ დავალებებს, ვერ უზრუნველვყავით წარმოების სტაბილური და მყარი ზრდა.

გარკვეული სიძნელეები 1987 წელს შეიქმნა მანქანათმშენებლობაში. სახალხო მეურნეობას აკლდება მნიშვნელოვანი ოდენობის მოწყობილობა, ნელა უმჯობესდება მისი ხარისხი. დარგი მოუმზადებელი აღმოჩნდა ხუთწლედის დიდი დავალებებისათვის, სახელმწიფო მიღების მოთხოვნებისათვის.

მომდინარე წელს შინელდა მსუბუქ მრეწველობაში წარმოების ზრდის ტემპი. არის სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევები. ჯერჯერობით ცუდად გამოიყენება ახალი სამეურნეო მექანიზმის შესაძლებლობანი. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს ტრიკოტაჟით, ფეხსაცმლითა და ზოგიერთი სხვა საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში საქმის ვითარების დრეიფ გაუმჯობესებას. ცოტა რამ გაკეთდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ვერ სრულდება საქონელბრუნვის გეგმა. ყველა სამინისტრო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანო როდი უთმობენ უპირველეს ყურადღებას საქონლის წარმოებისა და მომსახურების განვითარების საკითხებს, საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენენ არც სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო და არც სსრ კავშირის „ცენტროსოიუზი“, არადა, სწორედ ისინი უნდა იდგნენ მყიდველთა ინტერესების სადარაჯოზე.

საერთოდ, შეაფასა რა სამეურნეო ვითარება ქვეყანაში 1988 წლის დამდეგისათვის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა საფუძველი გვაქვს დავუსკვნეთ: განვლილ პერიოდში ეკონომიკის განვითარება მიმდინარეობს დინამიკურად, ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დავალებების შესაბამისად.

შეეხო რა შემდეგ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმას, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა სესიის განსახილველად, მან აღნიშნა, რომ გეგმა შემუშავებულია სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მითითებათა, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების), სსრ კავშირის, კანონის დებულებათა შესაბამისად, მეთორმეტე ხუთწლედის დავალებისა და სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ მომზადებული გეგმების პროექტების საფუძველზე, და მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის შემდგომ გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 8 ოქტომბრის სხდომაზე განხილა 1988 წლის გეგმის პროექტი და ძირითადად მოიწონა იგი. აღინიშნა, რომ გეგმის პროექტი მთლიანად შეესაბამება პარტიის XXVII ყრილობის სტრატეგიულ კურსს, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა საზოგადოებრიობის დაჩქარებულ განვითარებას, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მითითებებს ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ.

მომავალ წელს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის დინამიზმის გაძლიერებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებაში. ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად 1988 წელს უნდა უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წარმოების ზრდის უფრო სწრაფი ტემპი, ვიდრე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე. ამით წყდება პრინციპული მნიშვნელობის ამოცანა — საბჭოთა ეკონომიკის განვითარების წინსვლითი ხასიათის და სტაბილურობის გაძლიერება, მთლიანად ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის საიმედო საფუძვლის შექმნა.

ეროვნული შემოსავლის მატება მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით 4,3 პროცენტს შეადგენს, სამრეწველო პროდუქციისა — 4,5, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა — 3,4 პროცენტს. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გადიდდება 4,2 პროცენტით. უფრო სრულად იქნება გამოყენებული ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორები. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მივიღებთ ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მშენებლობაში და რკინიგზის ტრანსპორტზე სამუშაოთა მოცულობის პრაქტიკულად მთელ მატებას.

საწარმოო პოტენციალის გამოყენების დონის ამაღლების ღონისძიებანი, ძირითადად მუშაობის ორ-სამცვლიან რეჟიმზე გადასვლის გზით, საშუალებას გვაძლევს მთლიანად გავაუმჯობესოთ ფონდუკუგების დინამიკა.

1988 წლის გეგმის შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიკის, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სტაბილური მუშაობის უმნიშვნელოვანესი პირობის, შეფოთლასწორებას. ამ ხუთწლედში პრინციპულად ახალია წარმოებისა და მშენებლობის დაფგენილ მოცულობათა მატების უზრუნველყოფა გადამწყვეტწილად მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაზოგვის გზით, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროზე გეგმის პროექტის განხილვისას აღინიშნა, რომ „რესურსდაზოგვა, არსებითად, ხდება სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთადერთი წყარო“.

ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ეროვნული შემოსავლის ლითონტევადობა უნდა შემცირდეს 6,9 პროცენტით, ენერგოტევადობა კი 5,3 პროცენტით. ამ ამოცანის შესასრულებლად სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ მატერიალური რესურსების ეკონომია ზუსტად ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სამეურნეო მექანიზმის მოქმედება მხოლოდ ახლა იწყება და ჯერჯერობით სუსტად ახდენს გავლენას მატერიალური რესურსების დაზოგვაზე. ამ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ რესურსების დაზოგვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და მათ შედმეგი კონტროლი უნდა დაუწესონ სამინისტროებმა და შრომითმა კოლექტივებმა.

ახალი სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანი მოქმედებისათვის მნიშვნელოვანი, პრინციპული ფაქტორი გახდება 1988 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღება. იგი თვისებრივად ახალ პირობებს ქმნის საწარმოთა საქმიანობისათვის, დიდი ნაბიჯია ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნის პრაქტიკული განხორციელების გზაზე. სრული სამეურნეო ანგარიში რეალობად იქცევა, გაისად მრავალი საწარმო მასშტაბურად გადავა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებთან მუშაობაზე. ისინი აწარმოებენ პროდუქციის 60 პროცენტზე მეტს.

საწარმოთა ფართო უფლებების, სამეურნეო ანგარიშის პირობებში, როცა საწარმოო პროგრამის ნაწილს, რომელიც მოცული არ არის სახელმწიფო შეკვეთის ნომენკლატურით, ახლა ისინი დამოუკიდებლად აყალიბებენ სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე, ყველა შრომითმა კოლექტივმა მუშაობის სწრაფი ტემპის უზრუნველყოფისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა იზრუნოს თავიანთ საწარმოთა სამძლავრეების სრული დატვირთვისათვის, უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭოს მათს ზრდასა და მოდერნიზაციას.

საწარმოს ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება მისი კოლექტივისათვის ნიშნავს შრომის ანაზღაურებისათვის, სოციალური და საწარმოო განვითარებისათვის გაწყვეტილი სახსრების პირდაპირ შეკცირებას.

1988 წლის გეგმის მნიშვნელოვანი თავისებურებაა სოციალურ საკითხთა დაჩქარებული გადაწყვეტის და, უწინარეს ყოვლისა, სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარების ღონისძიებათა უფრო მასშტაბური განვითარება, ვიდრე გათვალისწინებულია ხუთწლედში. მთელი ერეოვნული შემოსავლის ოთხი მეხუთედი ხმარდება მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. 1988 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები ერთიერად უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე ეროვნული შემოსავალი.

ეროვნულ შემოსავალში დაგროვების ფონდის მატების სტრუქტურაში მნიშვნელოვნად გაიზრდება არასაწარმოო სფეროში ძირითადი ფონდების წილი. გაისად იგი ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული 29,5 პროცენტის ნაცვლად 34,8 პროცენტამდე გაიზრდება. სახალხო მეურნეობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 46 პროცენტი, ესე იგი, საერთო მოცულობის თითქმის ნახევარი, ხმარდება არასაწარმოო სფეროს განვითარებას. სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო სახსრების ასეთი ხვედრითი წილი წინათ არასდროს არ ყოფილა.

ამავე დროს უცვლელი რჩება ხუთწლედის გეგმით დასახული მატერიალური წარმოების განვითარების, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ამოცანები. ამ პირობებში ასეთი სტრუქტურული ძვრის განხორციელებისათვის მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ საწარმოო სფეროსათვის განკუთვნილ კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა, აგრეთვე ბევრად უკეთ უნდა გამოვიყენოთ მოქმედი საწარმოო პოტენციალი, გეგმაში ძირითადი ყურადღება დავუთმოთ ზრდის ინტენსიურ ფაქტორებს.

დიდ ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად გეგმაში სრულად არის გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ საწარმოთა გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საშუალებას იძლევა მათ მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე დაჩქარდეს და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს შრომითი კოლექტივების კეთილდღეობის გაუმჯობესების შესაძლებლობები მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებს.

რეალური შემოსავალი ერთსულ მოსახლეზე 1988 წელს 2,7 პროცენტით გაიზრდება, რაც ხუთი წლის გეგმას შეესაბამება. მოსახლეობისათვის მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მისაცემი დახმარებისა და შეღავათების საერთო თანხა შეადგენს 171 მილიარდ მანეთს ანუ 3,5 მილიარდი მანეთით მეტს, ვიდრე ხუთწლედში. მუშა-მოსამსახურეებს საშუალო წლიური ხელფასი მიაღწევს 206,8 მანეთს და 0,4 პროცენტით გადაჭარბებს ხუთწლიანი გეგმის გაანგარიშებებს. კოლმეურნეთა ხელფასის საშუალო ანაზღაურება საზოგადოებრივ მეურნეობაში შეადგენს 172,4 მანეთს, რაც 2,9 პროცენტით მეტია ხუთწლედის მაჩვენებელზე.

სოციალური პროგრამის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების სახელმწიფო ღონისძიებები. ამ მიზნებისათვის ცენტრალიზებულად არის გათვალისწინებული 4,1 მილიარდი მანეთი, რაც ხუთი წლის გეგმაზე მეტია. გეგმაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცალო საქონელბრუნვის მოცულობის ზრდას. იგი განსაზღვრულია 363 მილიარდი მანეთის ოდენობით და 1987 წლის გეგმას 9,3 მილიარდი მანეთით სჭარბობს.

სასურსათო საქონლის წარმოება შეადგენს 142,3 მილიარდ მანეთს, ანუ 3,4 პროცენტით მეტს, ვიდრე ხუთწლედი ითვალისწინებს, არასასურსათო საქონლისა — 119,9 მილიარდ მანეთს, ანუ ხუთწლედით გათვალისწინებულზე 7,8 მილიარდი მანეთით მეტს, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმისა — 92,8 მილიარდ მანეთს (საცალო ფასებით). მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობა 11,9 პროცენტით გაიზრდება და 63,1 მილიარდ მანეთს შეადგენს.

გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება სოციალური სფეროს მატერიალური ბაზა. აშენდება 128,9 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები. სამინისტროებმა და შრომითმა კოლექტივებმა, სოციალური ინფრასტრუქტურა, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საბინაო მშენებლობის განვითარების თანაფარდობა: კომუნალური საჭიროებებისათვის კაპიტალური დაბანდებანი სამჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საცხოვრებლისა. დასახულია დაახლოებით 1,7 მილიონნი მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლებისა და 189 ათასი მოსწავლისათვის გათვალისწინებული პროფტექნიკური სასწავლებლების აშენება, გათვალისწინებულია დიდი ნაბიჯი. გადადგმა ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში. დაგეგმილია თითქმის მილიონი ბავშვისათვის გათვალისწინებული სბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების საქსპლოატაციოდ გადაცემა, რაც აგრეთვე აღემატება ხუთწლედის მაჩვენებლებს. ხუთი წლის გეგმის დავალებათა გადაჭარბებით აშენდება ბავშვთა სახლები, ობოლთა სკოლა-ინტერნატები, ხანდაზმულთა სახლ-ინტერნატები, ჩვილბავშვთა სახლები.

კიდევ უფრო განვითარდება ჯანმრთელობის დაცვა. ახალი მშენებლობის ხარჯზე უნდა აშენდეს 78 000-საწოლიანი საავადმყოფოები, ცვლაში 200 ათასი ოფლებით ფართოვდება ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა შესაძლებლობები.

ხუთწლიან გეგმაზე მეტი მოცულობით არის დასახული კლუბების, რაიონული კულტურის სახლების, თეატრებისა და კინოთეატრების მშენებლობა.

მაგრამ გეგმებში განხორციელებულ სოციალური სფეროს განსავითარებლად დიდი სახსრების პრიორიტეტულ დაბანდებას ჯერჯერობით არ მოყოლია ასეთივე მკვეთრი გარდატეხა მათს ათვისებაში.

გეგმა ითვალისწინებს ბუნების დაცვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს. ბუნებისდაცვით სამუშაოთა კომპლექსს ხმარდება დაახლოებით 3 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები.

მოხსენებაში დაწვრილებით არის გაშუქებული მრეწველობის დარგების ტექნიკური დონის ამაღლების, საწარმოო კომპლექსების განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პრობლემები.

მრეწველობაში პრიორიტეტი, უთუოდ, უნარჩუნდება მანქანათაშენებელ კომპლექსს, ეს მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური განახლების საფუძველია. მანქანათმშენებლობის განვითარების პრობლემა სამართლიანად წარმოადგენს ახლა სახალხო-სამეურნეო პრობლემას. მთლიანად მანქანათმშენებლობაში წარმოების გადიდება დასახულია 7,1 პროცენტით. კვლავაც უპირატესად გაიზრდება ელექტრონული, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი და ჩარხსაშენებელი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება. მანქანათსაშენებელ საწარმოებს დასახული პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფს მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლების, რეკონსტრუქციისა და გაფართოების და ახალი მშენებლობის 1988 წლისათვის გათვალისწინებულ მოცულობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1987 წლის ივნისში გამართულ თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გამოშვებული მანქანებისა და მოწყობილობის მსოფლიო ტექნიკური დონისა და ხარისხის დაჩქარებულ მიღწევას. გაისად დასახულია დიდი ძვრა მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდების მიმართულებით. 1988 წლის გეგმაში მანქანათმშენებლობის წინაშე დასახულია განსაკუთრებული ამოცანა — დაჩქარებით გაზარდოს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის საჭირო დიდმწარმოებლური ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოშვება ხუთწლიანი გეგმით დადგენილი მოცულობების გადაჭარბებით. ეს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგების შემცირებას და მის კომპლექსურ გადამუშავებას.

მანქანათმშენებლობის პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფო მიღება. გაისად იგი მნიშვნელოვნად გაფართოვდება.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს მთელი სახალხო მეურნეობის სტაბილური თბო და ენერგომომარაგება, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. გეგმით დასახულმა ღონისძიებებმა შესაძლებლობა მოგვცა გვეთვალთვალა ხუთწლიან გეგმასთან შედარებით სათბობ-ენერგეტიკული რესურსების 22,1 მილიონი ტონა პირობითი სათბობით გადიდება.

მეტალურგიულ კომპლექსში ნალური მეურნეობისა და საბინაო მშენებლობის განვითარების თანაფარდობა: კომუნალური საჭიროებებისათვის კაპიტალური დაბანდებანი სამჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საცხოვრებლისა. დასახულია დაახლოებით 1,7 მილიონნი მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლებისა და 189 ათასი მოსწავლისათვის გათვალისწინებული პროფტექნიკური სასწავლებლების აშენება, გათვალისწინებულია დიდი ნაბიჯი. გადადგმა ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში. დაგეგმილია თითქმის მილიონი ბავშვისათვის გათვალისწინებული სბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების საქსპლოატაციოდ გადაცემა, რაც აგრეთვე აღემატება ხუთწლედის მაჩვენებლებს. ხუთი წ

სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ი. გოსტევის მოხსენება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წლევანდელი სესია ეწყობა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის წინ, მოვლენისა, რომელმაც სათავე დაუდო კაცობრიობის განვითარების ახალ ეპოქას, თქვა მომხსენებელმა. განვლილ წლებში ჩვენი ქვეყანა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ იქცა. შეიქმნა გიგანტური საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, განხორციელდა უღრმესი სოციალური გარდაქმნები. ძირეულად შეიცვალა ფინანსები. ისინი პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის დიდმნიშვნელოვანი საშუალება გახდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის სტრატეგიულმა კურსმა, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას ისახავს მიზნად, სათავე დაუდო ჭეშმარიტად რევოლუციურ ცვლილებებს. თანამედროვე ეტაპზე, როგორც აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, საბჭოთა ხალხი, პარტია, რომლებიც ლენინის მოძღვრებით ხელმძღვანელობენ და შემოქმედებითად ავითარებენ მას, განაგრძობენ რევოლუციის საქმეს გარდაქმნის, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს განახლების მეშვეობით.

პრაქტიკულად ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მითითებები ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის შესახებ. მისი ორგანული ნაწილია ფინანსურ-საკრედიტო მექანიზმის გარდაქმნა, რომლის მიზანია სოციალისტური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სრული სამეურნეო ანგარიშწორების უფრო აქტიური გამოყენება, სახელმწიფოს, შრომითი კოლექტივებისა და თითოეული მშრომელის ინტერესების ოპტიმალური შეხამება.

მიმდინარე წელს ბიუჯეტიდან დაფინანსებული მატერიალური წარმოების და სოციალური სფეროს განვითარების ძირითადი ღონისძიებები.

ამავე დროს მისი შესრულებისას საჭირო გახდა უფრო მომჭირნედ მივდგომოდით მიმდინარე საჭიროებების ხარჯებს. მოგების დავალებას ვერ უზრუნველყოფენ მანქანათმშენებლობა, ავთომობილიური და მსუბუქი მრეწველობა. დაგეგმილზე ნაკლები იქნება ბრუნვის გადასახადი. ზოგიერთი რესპუბლიკა — რუსეთის ფედერაცია, საქართველო, აზერბაიჯანი, მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი ბიუჯეტის შესრულებას. სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში ნელა მცირდება წარმოების დანახარჯები, დაშვებულია საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისი, მნიშვნელოვან ოდენობას მიაღწია გადაუხდელობამ.

ილაპარაკა რა 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მაჩვენებლებსა და თავისებურებებზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია პრინციპულად ახალი ფინანსური პოლიტიკის, სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის დებულებების გათვალისწინებით და საჭირო პირობებს უქმნის სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ფართო დანერგვას. შემოსავლისა და გასავლის მიხედვით ბიუჯეტი წარმოდგენილია 443,5 მილიარდი მანეთის ოდენობით.

შემოსავლის ზრდას სოციალისტური დაგრავება განსაზღვრავს, მოგება სახალხო მეურნეობაში, მათ შორის ვაჭრობის შემოსავლის შესაბამისი ნაწილი შეადგენს 215,3 მილიარდ მანეთს და 7,9 პროცენტით გაიზრდება.

თვისებრივი ძვრები ხდება ბიუჯეტის შემოსავლის სტრუქტურაში. მეურნეობრიობის ახალ პირობებში რესურსები საწარმოთა სასარგებლოდ გადანაწილდება. მათს განკარგულებაში რჩება 100 მილიარდ მანეთზე მეტი საწარმოო და სოციალური განვითარების თვითდაფინანსებისათვის.

პრინციპული სიახლეა ისიც, რომ ბიუჯეტის შემოსავალი გადამწყვეტწილად ფორმირებული გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე, ასეა განსაზღვრული ურთიერთობა 27 სამრეწველო სამინისტროს, მშენებლობის, ტრანსპორტისა და მთელი რიგი სხვა დარგების საწარმოებთან.

იზრდება სარესურსო გადასახდელების როლი. ისინი 45,7 მილიარდ მანეთს მიაღწევს. სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებზე გადაყვანილი საწარმოების მიხედვით მათი წილი 60 პროცენტს შეადგენს. საწარმოო ფონდების საზღაურთან ერთად, პირველად არის შემოღებული შრომითი რესურსების საზღაური. პერსპექტივაში ამ სახეობის გადასახდელები წამყვანი გახდება, რაც გაძლიერებს საფინანსო მექანიზმის ხარჯსაწინააღმდეგო მიზანდასახულობას.

შემოსავლის ფორმირების ახალი პრინციპების დანერგვა არა მარტო გაძლიერებს საწარმოთა დაინტერესებას საბოლოო შედეგებით, არამედ ბიუჯეტსაც გამტკიცებს. უფრო მჭიდრო გახდება მისი კავშირი მეურნეობასთან.

ბიუჯეტის ერთ-ერთი თავისებურებაა ბრუნვის გადასახადის წილის შემდგომი შემცირება. იგი განსაზღვრულია 89 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც 7,4 მილიარდ მანეთით ნაკლებია მიმდინარე წლის გეგმაზე. შემოსავალი ემყარება უფრო ჯანსაღ საფუძველს — 11,5 მილიარდი მანეთით მცირდება შემოსავალი ღვინისა და არყის პროდუქციის რეალიზაციისაგან. ამასთან ერთად თავს იჩენს ისიც, რომ ჯერ კიდევ არასაკმარისია ღონისძიებები, მოკავშირე რესპუბლიკები, სამინისტროები და საწარმოები რომ ახორციელებენ ისეთი დამატებითი სასაქონლო რესურსების გამოსაძებნად, რომლებზეც მოსახლეობის მოთხოვნაა და სახელმწიფოს შემოსავალს აძლევენ.

მცირდება შემოსავალი საგარეო ვაჭრობისგანაც, რაც უკავშირდება მსოფლიო ფასების არახელსაყრელ კონიუნქტურას. ამასთან ნელა დაიძლევა ჩვენი ექსპორტის სანდღეულო მიზანდასახულობა მასში დამშუშავებელი დარგის პროდუქციის წილის ზრდის გზით.

რაც შეეხება მოსახლეობის გადასახდელებს, მათი ხვედრითი წილი ბიუჯეტში პრაქტიკულად არ იცვლება. შრომის ანაზღაურების ზრდასთან დაკავშირებით ისინი 36,4 მილიარდ მანეთს შეადგენს. გათვალისწინებულია შესაბამისი საგადასახადო შემოსავალი ინდივიდუალური შრომითი საქონლბრუნვის, აგრეთვე კოოპერატივებისაგან. მათი განვითარებისათვის შექმნილია სათანადო ფინანსური პირობები.

თვისებრივად იცვლება სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის სტრუქტურა. მატერიალური სფეროს დარგებში მნიშვნელოვნად მცირდება ბიუჯეტის მეშვეობით ფინანსური რესურსების გადანაწილების დაუსაბუთებელი ნაკადები, მცირდება დაუბრუნებელი ფინანსირება. 14 მილიარდ მანეთზე მეტად კლებულობს ბიუჯეტის გასავალი კაპიტალური დაბანდებების, საბრუნავი სახსრებისა და სხვა ხარჯებისათვის.

ამასთან ერთად იზრდება საწარმოთა საკუთარი ფინანსური წყაროები, მათ წილად მოვა სახალხო მეურნეობის განვითარების მთელი ხარჯების ნახევარი. მნიშვნელოვნად მატულობს ეკონომიკური სტიმულირების ფონდები: წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა — 69,8 მილიარდი მანეთით, სოციალური განვითარებისა — 17,6 მილიარდი მანეთით. საკმაოა, რომ საწარმოებმა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე დაყრდნობით ყარიადინად განაგონ ესოდენ მნიშვნელოვანი ფულადი რესურსები.

ძლიერდება სანანყო კრედიტის როლი. საკრედიტო დაბანდებების საერთო თანხა 1988 წლის დამლევისათვის 400 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს. უნდა გაიზარდოს კრედიტების უზრუნველყოფა, დაჩქარდეს მათი ბრუნვა და დროულად დაიფაროს სესხი.

ძლიერდება ბიუჯეტის სოციალური მიზანდასახულობა. არსებითად იზრდება სოციალური საჭიროებებისათვის განკუთვნილი ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღებას და მოწოდებულია მნიშვნელოვნად გააქტიუროს საზოგადოებრივ წარმოებაში ადამიანის ფაქტორის როლი.

ბინათმშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, ვაჭრობის, მომსახურების სფეროს განვითარებისა და მოსახლეობის სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი ხარჯები ყველა წყაროს მეშვეობით 402 მილიარდ მანეთს შეადგენს. ეს 22 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე მიმდინარე წელს იყო. ორი მესამედი ბიუჯეტიდან ფინანსირდება, დანარჩენი ნაწილი კი საწარმოთა მიერ გამომუშავებული სახსრებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე.

იზრდება გარემოს დაცვის, ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღების ხარჯები. მატულობს სახელმწიფო დოტაციების მოცულობა სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. გათვალისწინებულია მეურნეობრიობის ახალ პირობებში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები. დაგეგმილია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების, განვითარებად ქვეყნებთან, აგრეთვე განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან სსრ კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებისათვის გამიზნული რესურსები. მთელ რიგ სამინისტროებში, უწყებებსა და საწარმოებში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის გასააქტიურებლად იქმნება სავალუტო ფონდები 3 მილიარდ მანეთზე მეტი თანხის ოდენობით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ცენტრშია მშვიდობის შენარჩუნება, საყოველთაო უშიშროების სიმყარე. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა წამოაყენეს ინიციატივა, რომ უკვე დღეს მოეღოს ბოლო სამხედრო ბიუჯეტების განუზომელ ზრდას. ეს შესაძლებელს გახდიდა სამხედრო ხარჯების შემცირებას და უზარმაზარი რესურსების გამოთავისუფლებას ყველა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის შენახვის, პენსიების გადახდის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სამხედრო მშენებლობისათვის და სხვა ხარჯები რჩება მიმდინარე წლის დონეზე — 20,2 მილიარდი მანეთის ოდენობით.

ასეთია სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგადი დახასიათება და ფორმირების თავისებურებები. მეურნეობრიობის ახალ პირობებში სახელმწიფო შემოსავალი გაიზრდება, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ექმნება საჭირო ფინანსური ბაზა, მოხდება დიდი სტრუქტურული ცვლილებები სრული სამეურნეო ანგარიშწორებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე საწარმოებისა და გაერთიანებების საქმიანობის დაფართოებასთან დაკავშირებით.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო მატერიალური წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებს.

მოკავშირე რესპუბლიკების 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები, აღინიშნა მოხსენებაში, ჩამოყალიბებულია ახალი საფინანსო მექანიზმის მოთხოვნილების გათვალისწინებით და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფენ საწარმოო ძალების კომპლექსურ განვითარებას, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ზრდას.

ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებანი, დემოკრატიზაციის მზარდი პროცესი სულ უფრო აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ფინანსთა სფეროზე, თქვა შემდეგ ორატორმა. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის შემუშავებაში ფართოდ მონაწილეობდნენ სამინისტროები, სამეურნეო ორგანოები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები, შრომითი კოლექტივები, მიზნად ისახავს ფინანსურ გარდაქმნებს მართვის ყველა დონეზე. მას საფუძვლად უდევს თვისებრივად ახალი საფინანსო მექანიზმის თანამიმდევრული დანერგვა, რომელიც ეყრდნობა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებს. ბიუჯეტთ ხორცს ისხამს კურსი, რომ ფინანსები გადაიქცეს ეკონომიკის გეგმიანი მართვის ქმედით ინსტრუმენტად, საფინანსო-საკრედიტო ბერკეტები გარდაიქმნას გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების ბაზაზე.

ამ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს განვამტკიცოთ სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობა სახალხო მეურნეობაში, უზრუნველყოთ წარმოებისა და მიმოქცევის საბოლოო შედეგების მანეთით ნამდვილი კონტროლი. ამავე დროს ბიუჯეტში ვერ შევძელით ყველაფერი სრულად გადაავეწყვეტა. ფინანსური დაძაბულობა შენარჩუნებულია, რითაც იგრძნობა წარსულიდან მიღებული ფინანსური პრობლემების ტვირთიც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მთავარი ხდება მისი შესრულების ზუსტი ორგანიზაცია. მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის თითოეულმა სამეურნეო ორგანიზაციამ, თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა უნდა უზრუნველყოს 1988 წლისათვის გათვალისწინებული შემოსავლის უთუო შესრულება, მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენონ ფინანსური რესურსები.

ფინანსური მდგომარეობა რადიკალურად უნდა გაუმჯობესოს ფინანსური გაჯანსაღების სპეციალურმა პროგრამამ, რომელიც მუშავდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამზადებენ შესაბამის წინადადებებს. აქტიურად უნდა ავამოქმედოთ აგრეთვე საწარმოები და გაერთიანებები, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები. საქმე ხომ იმას ეხება, რომ ყველგან შეგვქმნათ სიმეოო ეკონომიკური [illegible] და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის, სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვისათვის. და, რა თქმა უნდა, აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის უნარიან მეურნეობრიობას, იმ შესაძლებლობების სრული ძალით გამოყენებას, რომელსაც შრომითს კოლექტივებს ანიჭებს კანონი საწარმოს შესახებ.

ფინანსებში იგრძნობა ცვლილებები უკეთესობისაკენ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ სტაბილური ხასიათი არ შეუძენიათ. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი პასიურ, ლოდინის პოზიციას ადგას, ინერციით განაგრძობს სახელმწიფოსათვის ფულის თხოვნას, ნაცვლად იმისა, რომ თავად გამოიმუშაოს. ამით ყოვნდება სრული სამეურნეო ანგარიშის რეალური ფუნქციონირება.

ვითარება დაბეჯითებით მოითხოვს შეიცვალოს ფინანსებისადმი ასეთი დამოკიდებულება.. გავჯანსაღოთ ისინი — ნიშნავს განმავტკიცოთ არა მარტო ბიუჯეტი, არამედ საწარმოების, დარგების, რეგიონების ფინანსებიც. და უნდა ავიმოქმედოთ აგრეთვე საწარმოები და გაერთიანებები, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები. საქმე ხომ იმას ეხება, რომ ყველგან შეგვქმნათ სიმეოო ეკონომიკური [illegible] და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის, სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვისათვის. და, რა თქმა უნდა, აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის უნარიან მეურნეობრიობას, იმ შესაძლებლობების სრული ძალით გამოყენებას, რომელსაც შრომითს კოლექტივებს ანიჭებს კანონი საწარმოს შესახებ.

ფინანსებში იგრძნობა ცვლილებები უკეთესობისაკენ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ სტაბილური ხასიათი არ შეუძენიათ. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი პასიურ, ლოდინის პოზიციას ადგას, ინერციით განაგრძობს სახელმწიფოსათვის ფულის თხოვნას, ნაცვლად იმისა, რომ თავად გამოიმუშაოს. ამით ყოვნდება სრული სამეურნეო ანგარიშის რეალური ფუნქციონირება.

ვითარება დაბეჯითებით მოითხოვს შეიცვალოს ფინანსებისადმი ასეთი დამოკიდებულება.. გავჯანსაღოთ ისინი — ნიშნავს განმავტკიცოთ არა მარტო ბიუჯეტი, არამედ საწარმოების, დარგების, რეგიონების ფინანსებიც. და უნდა ავიმოქმედოთ, ერთი შეხედვით, უბრალო რამით — არსებითად გავუმჯობესოთ ფინანსური გეგმების და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

სრული სამეურნეო ანგარიში ნიშნავს, რომ საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ წარმოების უზარალობა. ეს ფინანსური გაჯანსაღების დიდი რეზერვია. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში ნაკლოვანებათა უფრო სწრაფი აღმოფხვრისათვის უნდა შევიარაღოდეთ დადებითი გამოცდილებით. მაგალითად, უკრაინასა და ლატვიაში არარენტაბელურ საწარმოთა წილი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ორჯერ და მეტად შემცირდა. ახლა საქმე ის არის, რომ ხუთწლედის დამლევისათვის უთუოდ მოისპოს ზარალიანობა ყველა დარგსა და რეგიონში.

გარდაქმნის პირობებში განუზომლად იზრდება დროის ფაქტორის მნიშვნელობა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ საწარმოო ფონდების, მატერიალური და ფინანსური რესურსების ბრუნვის დაჩქარებისათვის, თითოეული მანეთი უკუგების გადიდებისათვის.

დაგროვების გადიდების რეალური გზაა მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება. ახლა გაუქმებულია შეზღუდვები მომჭირნეობის სტიმულირებაში, შრომითი კოლექტივების შემოსავლის ოდენობა და მატერიალური კეთილდღეობა პირდაპირ დამოკიდებულია რესურსდაზოგვაზე, საქმის აყირავთან გაძღოლაზე. ამავე დროს ყოველწლიური დანაკარგები და არამწარმოებლური ხარჯები 20 მილიარდ მანეთს აღემატება.

წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში უნდა მივაღწიოთ ხალხის დოვლათისადმი ნამდვილ აირიათან დამოკიდებულებას. შრომითი კაპიკი მანეთს ზოგავს — ეს მარტივი ხალხური ჭეშმარიტება უნდა გახდეს მეურნეობრიობის, ეფექტიანი ეკონომიკის უცილობელი წესი. ყველა კოლექტივმა გადაუდებლად უნდა იფიქროს იმაზე, როგორ მიაღწიოს უფრო კარგად და რა გზით ნედლეულის, მასალების, სათბობის მომჭირნეობას.

სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გადიდებას ვერ მივაღწევთ მართვის აპარატის გარდაუქმნელად. მის შენახვას ყოველწლიურად ხმარდება უდიდესი თანხა — 40 მილიარდ მანეთზე მეტი. უნდა გავამარტივოთ და არსებითად შევამციროთ უსაზღვროდ გაბერილი მართვის აპარატი, რაც საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ მნიშვნელოვანი შრომითი და ფინანსური რესურსები. ამისათვის საწარმოებსა და სამეურნეო ორგანოებს ახლა შექმნილი აქვთ ეკონომიკური დაინტერესების პირობები. უნარიანად უნდა გამოვიყენოთ მონიჭებული უფლებები, დავეხმაროთ შრომითს კოლექტივებს მართვის სრულყოფაში, გავზარდოთ სამმართველო შრომის შედეგიანობა.

სახალხო მეურნეობაში ფინანსური ვითარების გაჯანსაღების გადამწყვეტი ფაქტორია თვით წარმოების, მისი ეფექტიანობის გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. უფრო მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, შრომის მოწინავე ორგანიზაციის დანერგვა საბოლოო ფინანსურ შედეგებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში წარმოების ყველა ასპექტი უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს დანახარჯების შემცირებას, მომგებიანობისა და შემოსავლიანობის ზრდას. თუ ეს არ არის, მაშასადამე, მეურნეობას ვუძღვებით არაეფექტიანად, ძველი მეთოდებით.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება გაუყარელად არის დაკავშირებული საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის, სახალხო-სამეურნეო პროპორციების სრულყოფასთან. ამის საბოლოო მიზანია ნატურალურ-ნივთობრივი და ღირებულებრივი შეწონასწორების მიღწევა.

ფინანსების გაჯანსაღების გაუყოფელი ნაწილია ფულის მიმოქცევის განმტკიცება. ამას კომპლექსურად და ფართოდ უნდა მივუდგეთ. საქმე უხება მანეთის მყიდველობით უნარის გადიდების ყველა ფაქტორის ამოქმედებას. მკაცრად უნდა დავიცვათ ხელფასის ზრდისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის თანაფარდობის დადგენილი ნორმატივები, მთლიანად უზრუნველყოთ ფულადი შემოსავალი საჭონლითა და მომსახურებით.

სამინისტროებისა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკებსა, მინისტრთა საბჭოებს, [illegible] ადგილობრივი საბჭოს ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მიწოდების საკითხები. უნდა ჩავიტანოთ უშრომელი შემოსავლის მიღების არხები, დავნერგოთ საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის მოსახლეობის სახსრების მიზნივის ახალი ფორმები. უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ფულის მიმოქცევისადმი კონტროლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, როგორიც არის ტერიტორიული საკასო გეგმები, გაუზარდოთ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა მათი შესრულებისათვის.

მომხსენებელი შეეხო შემდეგ ახალ პრინციპებზე სავალუტო-საფინანსო მექანიზმის სრულყოფის ამოცანებს, მეურნეობრიობის ახალ პირობებში კრედიტის გარდაქმნას, აღრიცხვისა და კონტროლის გაუჭობებულებას.

დასასრულ მან თქვა:

მომავალი წელი — ეს არის გარდაქმნისა და განახლების თანამიმდევრული, ენერგიული განხორციელების წელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენციის წელი. ახლა, როგორც პარტია მოითხოვს, ყოველივე დასახული უნდა განვახორციელოთ. და ამით შევქმნათ ხუთწლედის შესრულების მტკიცე საფუძველი. **(ტაში).**

(საკდესი).

ჩვენი დღევანდელი საინფორმაციო გამოშვების ეს მონაკვეთი მთლიანად სახალხო დღესასწაულებს ეძღვნება. იყალთოს ბებერ მიწაზე წელს ოცდამეხუთედ გაიმართა

ᲨᲝᲗᲐᲛᲝᲑᲐ

ზეიმი გახსნა იყალთოს რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შათირიშვილმა. საკუთარი ლექსით წარუდგა ზეიმის მონაწილეებს პოეტი სოსო ჩხუბიანაშვილი. „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები წაიკითხა პოეტმა შოთა ხოდაშნელმა.

სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ დამიანე გოლეთიანმა იყალთოს უნივერსიტეტს საპატიო სიგელი გადასცა.

▼▼

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲐᲓ ყოველ წელს ამ დროს იმართება წინანდლის მიწაზე

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲝᲑᲐ

ზეიმი გახსნა სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა გიორგი ჯავახიშვილმა. ზეიმის მონაწილეთ მიესალმა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით გოგოშური. ლექსები წაიკითხეს პოეტებმა დავით მაღრაძემ, შოთა ხოდაშნელმა, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობმა ზაზა ბაწელაშვილმა და სხვ.

▼▼

ᲓᲘᲓᲘ სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის მშობლიურ სოფელ მირზაანში შრომის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა

ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲝᲑᲐ

საზეიმოდ მორთული სახლმუზეუმის ეზოში შემოვიდნენ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ გამარჯვებულთა კოლონები, ისინი ვინც წელს განსაკუთრებით ისახელა თავი საოჯაღმბრძოლო ფრონტზე.

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ მეგობრობის ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ზეიმი იყო ლაგოდეხის რაიონში გამართული

ᲙᲔᲠᲔᲗᲝᲑᲐ

ინტერნაციონალური იმიტომ, რომ ზეიმში მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის, ზაქათალის, კახის და ნუხის მშრომელთა წარმომადგენლები, ისინი, ვისთანაც მრავალწლიან მეგობრობა აკავშირებთ ლაგოდეხის რაიონის მშრომელებს.

ზეიმი გახსნა პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. მაისურაძემ. აირჩიეს რაიონის საპატიო მოქალაქეები. გაიმართა კონცერტი ლაგოდეხისა და მეზობელი რაიონების თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით.

ნაშუადღევს ლაგოდეხის ნაკრძალის ტყე-პარკში მოეწყო დიდი სახალხო სეირნობა.

მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ბ. ხარებაშვილმა.

გუშინ, დღეს, ხვალ

ᲤᲐᲥᲢᲘ ■ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ■ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲨᲝᲗᲐᲛᲝᲑᲐ

დიდი სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის მშობლიურ სოფელ მირზაანში შრომის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა

ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲝᲑᲐ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ მეგობრობის ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ზეიმი იყო ლაგოდეხის რაიონში გამართული

ᲙᲔᲠᲔᲗᲝᲑᲐ

ᲣᲙᲐᲠᲘᲥᲔᲗᲘᲡᲨᲘ

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

◆ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲓᲔᲒᲔ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მიშელ ბარზაკმა მიიღო გადწყვეტილება საერთო-ეროვნული საინფორმაციო კამპანიის გაშლის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში ელვის სისწრაფით იზრდება შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომით (შიდსი) დაავადების შემთხვევები.

კამპანიის ფარგლებში ფართოდ უჩვენებენ მოკლემეტრაჟიან ფილმს, რომელიც განმარტავს შიდსის წინააღმდეგ პროფილაქტიკის საჭიროებას. გაავრცელებენ აგრეთვე ამ სახიფათო ავადმყოფობის შესახებ დაწერილ მრავალრიცხოვან ბროშურებს. ნავარაუდევია, ამ მიზნებს 8 მილიონ ფრანკზე მეტი მოახმარონ. როგორც ბარზაკმა თქვა, ამჟამად საფრანგეთში შიდსით დაავადების უკვე 2523 მაგალითია, რაც შეადგენს დაახლოებით 42 შემთხვევას ქვეყნის მილიონ მცხოვრებზე. ამ მაჩვენებლებით საფრანგეთს მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში განვითარებულ ქვეყნებს შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და შვეიცარიის შემდეგ.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲐᲕᲘᲐᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ

ᲠᲝᲛᲘ. იტალიის სამგზავრო ავიაკომპანიის „ატრ-42“ თვითმფრინავმა, რომელიც მილან-კელნის მარშრუტით მიფრინავდა, ავარია განიცადა და ჩამოვარდა იტალიის ჩრდილოეთში მთიანი დაბა ბარნის რაიონში (კომოს პროვინცია). თვითმფრინავთან კავშირი გაწყდა მილანიდან მისი გაფრენის რამდენიმე წუთის შემდეგ. როგორც იტალიის ტელევიზია იუწყება, თვითმფრინავში იმყოფებოდა 34 მგზავრი და ეკიპაჟის 3 წევრი. ბარნის რაიონში მიმდინარეობს მაშველი სამუშაოები. ჯერჯერობით არ იუწყებიან, არის თუ არა მსხვერპლი. ექსპერტების აზრით, ავარიის ერთ-ერთი მიზეზი არახელსაყრელი ატმოსფერული პირობები იყო.

ᲑᲠᲘᲒᲐᲚᲘ ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐᲨᲘ

ᲝᲡᲚᲝ. საფრანგეთისა და ინგლისის შემდეგ ძლავრი გრიგალი თავს დაატყდა ნორვეგიას. მეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემებით, ქარის ძალა ქვეყნის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროს გაყოლებაზე პარასკევს საღამოს აღწევდა 220 კილომეტრს საათში. ბევრ რაიონში შეწყვეტილია სატელეფონო კავშირი.

...ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲣᲫᲦᲕᲔ ᲬᲘᲜᲐ ᲔᲠᲡᲐ!

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲖᲔᲘᲛᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ქართველი ხალხის ცხოვრების დიდი ნათელი დღესასწაულისათვის, ისე ემზადებიდნენ რესპუბლიკის მშრომელები დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმისთვის, რომელსაც მთელი კვირა ეთმობა.

მის ფარგლებში გაიმართება საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურები“, რომელიც მოეწყობა თელავსა და ყვარელში და რომელზეც შეიკრიბებიან თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილენი განიხილავენ თემას „თანამედროვე ცივილიზაციის ბედი და მსოფლიო ლიტერატურები“.

საიუბილეო დღესასწაულზე უკვე ჩამოვიდნენ და ჩამოვლენ საბჭოთა მწერლები ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, საზღვარგარეთელი ქართველოლოგები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. თბილისში გაიხსნება „ილია ჭავჭავაძის შემორიალური მუზეუმი, მწერლის ბიუსტი პროსპექტზე, რომელიც მის სახელს ატარებს. იუბილეს ფარგლებში გაიმართება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის დამთავრებისადმი მიძღვნილი საზეიმ